

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 აპრილს

მომავლის მიტინგი

A10



ინდოეთში საპარლამენტო არჩევნები დაიწყო

A8



მზადება კლავი-ოფისთვის

A13



ხელისუფლებასთან შეხვედრის მოლოდინში

დათო ბაჩიშვილი

პოლიტიკურმა ოპოზიციამ ხელისუფლებასთან დიალოგზე მზადყოფნა გამოთქვა. ოღონდ, მათი თქმით, პრეზიდენტთან ოპოზიცია ერთადერთი დღის წესრიგით მივა - ეს არის ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლა. თუმცა, ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი მზად არის, ხელისუფლების ყველა წინადადება მოისმინოს.

ალიანსი საქართველოსთვის ნევრმა ვიქტორ დოლიძემ 24 საათს განუცხადა, რომ ოპოზიციის მზადყოფნის მიუხედავად, მათ პრეზიდენტ სააკაშვილისგან არ მოუსმენიათ არც შეხვედრის თარიღის, ადგილის და მით უმეტეს განსახილველი საკითხების შესახებ. ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრის თქმით, ოპოზიციის მთელი სპექტრი ხელისუფლებასთან შეხვედრისთვის მზად არის, მაგრამ ეს ემსახურება ერთადერთ მთავარ მიზანს - პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. საკუთრივ შეხვედრისა და მასზე განსახილველი სხვა საკითხების შესახებ დოლიძემ განმარტა: ჩვენ გავცნობით პრეზიდენტის წინადადებებს და ასევე გამოიკვეთება, თუ როგორ უყურებს ხელისუფლება ოპოზიციის მიერ დაყენებულ საკითხს. აგრეთვე, ხელისუფლებისგან მოვისმენთ ქვეყანაში არსებული კრიზისიდან გამოსავლის მისე-

ულ გზებს. ეს არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა საკითხებზე მათთან დიალოგში შევალთ. ეუთო-ში საქართველოს ყოფილი ელჩის აზრით, ვერანაირი საკონსტიტუციო ცვლილება და საპარლამენტო არჩევნები ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანს. ამასთანავე, მისთვის ბუნდოვანია პარლამენტის თავმჯდომარის წინადადება კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ.

ბაზრქალაბა A3 გვირდო

მისამა ეტაპი, უფრო მზავა

გუშინ პარლამენტის შენობის წინ, კერძოდ, პირველი გიმნაზიიდან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემდე ტერიტორია კვლავ რეინის კონსტრუქციებით იყო გადაკეტილი. ოპოზიციის ლიდერებმა მხარდამჭერებს სამომავლო გეგმები გააცნეს. ლიდერთა განცხადებით, შეიქმნება სამოქალაქო კომიტეტები, სადაც რეგისტრაციას გაივლიან მოქალაქეები, რათა აქციებმა უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღოს. სამოქალაქო კომიტეტები ოპოზიციური პარტიების ოფისებში განთავსდება.

ოპოზიციის ლიდერთა თქმით, აქციები აღდგომის დღესასწაულზეც გაგრძელდება, თუმცა შეკრება შედარებით მოკრძალებული იქნება - პოლიტიკური განცხადებები აქციებზე არ გაკეთდება, თუმცა საპროტესტო კერები, როგორც პარლამენტის წინ, ასევე ავლაბრის რეზიდენციასთან და ქალაქის ყველა სხვა ნერტილში შენარჩუნდება. სამშაბათიდან კი ოპოზიცია აქციების გამწვავებას აპირებს.

ბაზრქალაბა A2 გვირდო



AFP · 2009

დიალოგის კონტურები

გიორგი ასანიძე

იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონტაქტები თითქმის ნულამდეა დასული, ევროკავშირი გამოთქვამს მზადყოფნას, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრის ორგანიზებაში შუამავლის როლი იკისროს. დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის მომზადების პროცესს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემენი წარმართავს, რომელიც

გუშინ თითქმის მთელი დღის განმავლობაში ოპოზიციის ლიდერებთან ცალ-ცალკე მართავდა კონსულტაციებს. პირველ შედეგს სემენიმ უკვე მიაღწია: ხელისუფლების პირველ პირთან დიალოგზე პრინციპული უარი ოპოზიციის ლიდერებისგან არავის უთქვამს.

დიალოგისთვის მზაობა

გუშინ დილით სასტუმრო თბილისი მარიოტში ევროკავშირის წარმომადგენელთან მოლაპარაკებების მაგიდას პირველი ალიანსი საქართველოსთვის ლიდერი ირაკლი ალასანია მიუჯდა. მისი თქმით, სააკაშვილთან დიალოგის გამართვაზე თანხმობა სულაც არ ნიშნავს იმას,

რომ ოპოზიციამ თავის სტრატეგიულ კურსს გადაუხვია, უკან დაიხია და ხელისუფლებასთან გარიგებაზე მიდის.

ჩვენი მხრიდან დავადასტურებთ მზადყოფნა შეხვედრაზე, რომელიც უნდა გაიმართოს მხოლოდ ერთ საკითხზე, რასაც ითხოვს ქართული საზოგადოება - ეს არის პრეზიდენტის გადადგომა. თუმცა, ჩვენ მოვისმენთ იმ წინადადებებსაც, რომლებსაც ხელისუფლება შემოგვთავაზებს. ამ შეხვედრის შედეგებს საზოგადოებას აუცილებლად გავაცნობთ," - აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ირაკლი ალასანია.

ხელისუფლებასთან შეხვედრის ორგანიზებაში ევროკავშირის ჩართვას დადებითად აფასებს ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

ჩვენ, მთელ საზოგადოებასთან ერთად, არაერთხელ დავრჩით მოტყუებულები. ამიტომ, დიალოგის საკითხში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვითხოვთ სააკაშვილის გადადგომას, რადგან მხოლოდ მის გადადგომაში ვხედავთ გამოსავალს.

ბაზრქალაბა A3 გვირდო

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

პი პი პი
მანის სადაზღვეო ჯგუფი

დიალოგის მოთხოვნა

საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ხელი-სუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის მოთხოვნით გამოდიან. აღნიშნულის შესახებ გუშინ "ლიტერატურულ კაფეში" საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელმა პრესკონფერენცია ჩაატარა და ერთობლივი განცხადება გააერთიანეს: "ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არ წარმოვადგენთ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ვაცნობიერებთ რა, რომ ქვეყანა იმყოფება ურთულეს სიტუაციაში, რადგან არსებობს პოლიტიკური პროცესების უკიდურესი ესკალაციის რეალური საშიშროება, მიგვაჩნია, რომ თითოეულ ჩვენგანს ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა საქართველოს მომავლის წინაშე. როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობა, პოლიტიკური პროცესი ძალადობრივ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს. ნებისმიერი ასეთი სახის კონფრონტაცია უკუაქცევს ქვეყნის განვითარებას და, საბოლოო ჯამში, გრძელვადიან და მანგრეველ გავლენას იქონიებს მასზე. საქართველოს მომავლის მთავარი განმსაზღვრელი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება და არა პოლიტიკური ელიტები. ჩვენი, როგორც საქართველოს მოქალაქეების მოვალეობაა, საკუთარი წვლილი შევიტანოთ პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად და რაციონალურად განვითარებაში. დიალოგი ერთადერთი გზაა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და მყარი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისთვის. დიალოგის, როგორც პოლიტიკური მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალების უარყოფა, ცალსახად ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი და სისტემური ცვლილებები აუცილებელია საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების სასიკეთოდ. უახლოესი წარსულის შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ეს ცვლილებები დიალოგის საშუალებით უნდა დაიწყოთ და განხორციელდეს. როგორი მოვლემებიც არ უნდა იყოს ოპოზიციის მხარდამჭერებისთვის დიალოგზე საუბარი, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა არათუ უნდა გაბედონ დიალოგზე საუბარი, არამედ თავად უნდა მოითხოვონ დიალოგი. ხელისუფლებამაც არა მხოლოდ უნდა ისაუბროს დიალოგზე, არამედ რეალურად უნდა გადადგას ნაბიჯები დათმობისაკენ. ვეფუძნებით რა საქართველოს კონსტიტუციის მიერ აღიარებულ საყოველთაო ღირებულებებს, რომელთა თანახმად, ხელისუფლების წყაროა ხალხი და ხელისუფლება შეზღუდულია უზენაესი კანონით, მოვითხოვთ: საქართველოში მორიგი დაპირისპირებისა და ძალადობის თავიდან აცილების მიზნით შეწყდეს ყოველგვარი ძალადობა ან ძალადობის მცდელობა; კრიზისული პოლიტიკური ვითარებიდან დროული და ეფექტური გამოსვლის მიზნით დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის". განცხადებას ხელი რატი ამალლობელმა, ლაშა ბუღაძემ, დათო ტურაშვილმა, ირაკლი კაკაბაძემ, ბასა ჯანიკაშვილმა, ნინო ლუქუაძემ, ანა დოლიძემ, ანდრო ბარნოვამ, ზაზა ბიბილაშვილმა, შორენა შავერდაშვილმა, ნინო დანელიამ, ნინო ზურიაშვილმა, სალომე ჯაშმა და ეკა სირაძემ მოაწერეს, თუმცა სია ღიაა და საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია, მას შეუერთდეს. ამისათვის მსურველმა სახელი და გვარი უნდა გაგზავნოს ელ. ფოსტაზე connect@stand.ge და "საგნის" ველში მიუთითოს "დიალოგის მხარდაჭერა".

ოპოზიციონერი ლიდერი, პარტია "საქართველოს გზის" თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ "მხოლოდ იმ საზოგადო მოღვაწეებს იცნობს, რომლებიც ოპოზიციის გვერდით დგანან". როგორც ზურაბიშვილმა გუშინ რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მომიტინგეებს განუცხადა, "ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე გვასწავლის ქაუჭის და დიალოგისკენ მონოდებებს ავრცელებს". "მინდა, მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობისკენ მოვუწოდო და ვთხოვო, დაინახონ, თუ რა კრიზისშია დღეს ქვეყანა. მათ, როგორც ჩანს, მარტო გაზეთებში ეხერხებათ წერა! იმ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც აქ ჩვენთან ერთად არ დგანან, ჯერ კიდევ აქეთ 4 დღე მისაფიქრებლად, რათა შემოგვიერთდნენ და დადგენ ჩვენთან ერთად. პირადად მე მარტო იმ საზოგადო მოღვაწეებს ვიცნობ, რომლებიც თავის ხალხთან დგანან," - განაცხადა ზურაბიშვილმა.

პირველი

პრეზიდენტი ამერიკაში გაემგზავრება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უახლოეს მომავალში ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება. როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ვიზიტის თარიღი და სხვა დეტალები დიპლომატიური არხებით თანხმდება. მისი თქმით, ქართულ-ამერიკული ქართის გაფორმების შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდა.

მედიანიუსი

შეხვედრები გაეროში

გუშინ ნიუ-იორკში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გაერო-ს გენერალურ მდივან პან გი მუნს შეხვდა. ვაშაძემ და პან გი მუნმა საქართველოს კონფლიქტის ზონებში არსებული ვითარება განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო მოხსენებას აფხაზეთის შესახებ, რომელიც გაერო-ს გენერალურმა მდივანმა უახლოეს მომავალში უნდა გამოაქვეყნოს. მანამდე ქართული დეგელაცია შეხვდა გაერო-ში ვერმანისა და აშშ-ს წარმომადგენლებს. შეხვედრების დროს ვაშაძემ აღნიშნა, რომ თბილისი დაინტერესებულია აფხაზეთში გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელებით, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების, მათ შორის აფხაზეთის ქართული მოსახლეობის

უფლებების დაცვას. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება "მხოლოდ რუსეთზე მტკიცე და არაორაზროვანი საერთაშორისო ზენოლის პირობებშია შესაძლებელი." მოსკოვს აღიზიანებს მისიის ამჟამინდელი სახელწოდება - "გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში" და მის შეცვლას აფხაზეთის "დამოუკიდებელი" სტატუსის გათვალისწინებით თხოვს. "ცვლილებით, ავუსხნათ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ კომპრომისისადმი მზადყოფნა შეიძლება რუსეთის მიერ სისუსტედ იქნეს აღქმული," - განაცხადა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. მისი თქმით, საბოლოოდ გაერო-ს უშიშროების საბჭო ან მისიის მანდატს გაგრძელებს, ან "გაირკვევა, ვინ არის ოკუპანტი საქართველოში და ვინ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას." როგორც მანამდე გრიგოლ ვაშაძე აცხადებდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან და გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ქართულმა მხარემ განიხილა ინიციატივა კონფლიქტის ზონებში გაერო-ს ეგიდით საპოლიციო ძალების განლაგების შესახებ. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ამ შეხვედრებზე კვლავ დააყენა საკითხი რუსული ძალების საქართველოდან გაყვანის თაობაზე.

ქართული მხარე ასევე ცდილობს, კონფლიქტურ ზონებში არსებული ვითარებისა და დევნილთა უფლებების საკითხები გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გაიტანოს, სადაც რუსეთს ვეტოს უფლება არ აქვს. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს ამ ქვეყნის ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიწვევით ეწვევა. აშშ-ში საქართველოს ელჩ ბახუე ქუთელიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს მონვევა ფონდმა "ბილ კლინტონის გლობალურმა ინიციატივამ" გამოუგზავნა. საქართველოს პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს ფართო საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელსაც ფონდი სექტემბერში გამართავს.

საკუთარი ინფორმაცია

მისამართი, უფრო მზაკვი

პირველი გვერდიდან

"შეკრებით მთელ საქართველოს, რათა გავაგებინოთ ჩვენს დღევანდელ ხელისუფალს, რომ საქართველოს აღარ სურს მისი პრეზიდენტობა. თუ ეს მისთვის საკმარისი არ იქნება, სამშაბათიდან ეს აქციები მიიღებს უფრო მწვავე კონსტიტუციური და კანონიერ ხასიათს," - განაცხადა ეროვნული ფორუმის ლიდერმა ირაკლი მელაშვილმა. სამშაბათიდან ოპოზიციური პარტიები რეგიონებში გასვლასაც გეგმავენ, რომ მოსახლეობას აქციაში აქტიურად ჩაერთვისკენ მოუწოდონ. ოპოზიციის განცხადებით, რეგიონებში გასვლის მსურველები ტრანსპორტით იქნებიან უზრუნველყოფილნი. სალომე ზურაბიშვილის თქმით, ეს იქნება ბრძოლის შესაძენი და გადამწყვეტი ეტაპი, რომლითაც ეს ხელისუფლება დასრულდება".

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციონერი ლიდერები რეგიონებში არა

მარტო ხალხის თბილისში ჩამოსაყვანად, არამედ ადგილზე საპროტესტო კერების შესაქმნელად გაემგზავრებიან.

გუშინდელ აქციაზე ისიც გაიკვია, რომ სამშაბათიდან ოპოზიციის ყველა სახელმწიფო სტრუქტურის შენობის პარალიზებას გეგმავს. "ჩვენ არ ვერჩით რიგით პატრულს, სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე რიგით მოქალაქეებს, ისინი სააკაშვილის მძევლები არიან და ჩვენ მათ მალე გავათავისუფლებთ," - განაცხადა "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

სამშაბათიდან კიდევ ერთი სიახლე იქნება - "უცნობის" საკანი საკანონმდებლო ორგანოს წინ დროებით განთავსება. "მომავალ სამშაბათს გიას ერთი საათით პარლამენტთან საკნით მოიყვანენ და ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენ გვერდით დადგება," - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ. რუსთაველის თეატრის წინ განთავსებულ საკანს კი

მსახიობი ზაზა პაპუაშვილი დაიკავებს.

როგორც ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, მას მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა დაურეკეს და სთხოვეს, რომ პარლამენტის შენობის წინ სპეციალურად მათთვის ერთი საკანი დადგან, რომელშიც ყველა სათვის ცნობილი და საყვარელი ობიექტები - ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვები ჩასხედებიან.

აღდგომის სადღესასწაულო დღეების დასრულების შემდეგ ჩვენ უფრო დიდ რადიკალიზმზე გადავალთ და ხელისუფლებას გავაგონებთ ჩვენ ხმას. თუ მაგარი ბიჭები არიან, მოვიდნენ აქ - ჩვენთან, თუ არადა, ჩვენ მივალთ მათთან," - განაცხადა გუშინ ლევან გაჩეჩილაძემ და დასძინა, რომ "ნიცეა სამოქალაქო მობილიზაცია საბოლოო აკორდისთვის". მან ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა.

დაბოლოს, ოპოზიციის ლიდერ

რებმა, მართალია, ოთხდღიანი ტაიმ-აუტი იღეს და სამშაბათამდე მხოლოდ მოკრძალებული აქციები გაიმართება, კონსერვატიულმა პარტიამ, 9 აპრილის საორგანიზაციო შტაბის სახელით, თბილისის მერიის აქციების ვადის გაგრძელების შესახებ წინასწარი გაფრთხილებით უკვე მიმართა.

აქცია ერთდროულად დაგეგმილია რამდენიმე ადგილას. რუსთაველის გამზირზე - პარლამენტის შენობის წინ, ენ. "მოდულის" შენობასთან, შსს-თან, რუსთავი 2 -თან, სახელმწიფო კანცელარიასთან, თბილისის მერიასთან, შავნაბადას რეზიდენციასთან.

შეკრებები და მანიფესტაციები, გაფრთხილების მიხედვით, გაგრძელდება 2009 წლის 30 აპრილის 22 საათამდე. შეკრებებისა და მანიფესტაციების მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა, იმავე განაცხადის თანახმად, 200 ათას ადამიანს შეადგენს.

საკუთარი ინფორმაცია

დაკავშირებული გზები და შეხვედრები მომიტინგეებში

საპროტესტო აქციებმა ქალაქის ცხოვრების რიტმი შეცვალა. მერიის თითქმის ყველა სამსახური საგანგებო რეჟიმში მუშაობს, თუმცა მკვეთრი ცვლილება მერიის ტრანსპორტის სამსახურს შეეხო. იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში გზები მოულოდნელად იკეტება, სატრანსპორტო სამსახურს ქოტური სიტუაციის თავიდან ასაცილებლად შემუშავებული აქვს სპეციალური გეგმა. ყველა იმ მიუნიციპალურმა ტრანსპორტმა, რომელიც რუსთაველის გამზირის გავლით მოძრაობდა, მიმართულა შეიცვალა და სანაპიროს გავლით გადაადგილდა.

124 საქალაქო მარშრუტზე ყოველ დღითი საშუალოდ უცვლელად 730 ავტობუსი გამოდის. ასევე შეუზღუდავად მუშაობს მეტროპოლიტენი. შექმნილია მართვის ცენტრი, რომელიც უკავშირდება ქალაქში სხვადასხვა ადგილებზე განაწილებულ მერიის ტრანსპორტის სამსახურის ას თანამშრომელს, რათა, ამა თუ იმ ქუჩის გადაკეტვისას, მყისიერი რეაგირება მოახდინონ. აქედან გამომდინარე, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს კაკო ჯოხაძის

მტკიცებით, ავტობუსების მოძრაობაში შეფერხებები მინიმალურია.

ტრანსპორტის სამსახური სრული შემადგენლობით გადასულია საგანგებო რეჟიმზე, რათა უზრუნველყოთ ტრანსპორტის შეუფერხებლად გადაადგილება. ქოტური სიტუაციის თავიდან ასაცილებლად სამსახურს შემუშავებული აქვს სპეციალური სქემა. ჩვენს, დაახლოებით, ასი თანამშრომელი ახდენს მიმართულების ცვლილებებს. დღეისათვის კეთდება ყველაფერი, რათა შეფერხება არ მოხდეს, - განაცხადა 24 საათთან საუბარში მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა კაკო ჯოხაძემ.

საპროტესტო აქციებიდან გამომდინარე, მგზავრებს გაჩერებებზე გაორმაგებული დროით უწევთ ავტობუსის ლოდინი, რის გამოც ტრანსპორტის სამსახური მოსახლეობას ბოდიშს უხდის. საპროტესტო გადაკეტვები სატრანსპორტო საცობებს იწვევს. ჩვენს ვაკეთებ შესაძლებლობის მაქსიმუმს. მინდა, ბოდიში მოვუხადო მგზავრებს იმ დისკომფორტის გამო, რომელიც გზების გადაკეტვისას იქნება, - აღნიშნა

მერიის ტრანსპორტის სამსახური უფროსმა.

რაც შეეხება სასწრაფო დახმარების მანქანების გადაადგილებას, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავას განცხადებით, სასწრაფო დახმარებებს გადაადგილებისას პრობლემები არ შექმნიათ. რა თქმა უნდა, ხალხის ნაკადის დროს სასწრაფოს, შესაძლოა, 5-10 წუთი აგვიანდება დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ამ დაგვიანებას რაიმე უბედური შემთხვევა გამოენჯია. თუ გამოძახება იმ უბანშია, სადაც საპროტესტო აქცია იმართება, მომიტინგეები აბსოლუტურ შეგნებულობას იჩენენ და სასწრაფო დახმარების მანქანებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ატარებენ, - აცხადებს მამუკა ქაცარავა.

მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური დღეისთვის უფრო მეტ სასწრაფო დახმარების ბრიგადას ამუშავებს, ვიდრე ქალაქს სჭირდება. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული სამსახური მზად არის,

დისლოკაციის გარკვეულ ადგილებში სასწრაფო დახმარების მანქანები ქუჩაშიც დააყენოს. როგორც იცით, სასწრაფო დახმარების მანქანები რადიო სისტემებზე და ოპერატიულად ხდება დავალების შესრულება. სასწრაფო დახმარების სამსახური საგანგებო მდგომარეობაში არ მუშაობს, მაგრამ გაძლიერებულია ცენტრალური ოფისები, სადაც აქციები მიმდინარეობს. ჩვენ ჯერ კიდევ ზამთრის რეჟიმით ვმუშაობთ, თუმცა გამოძახებები სეზონურად არის შემცირებული, ანუ თუ დღე-ღამეში ათასი გამოძახება იყო, ახლა არის რვაასი. რაც შეეხება აქციებზე სასწრაფო დახმარების გამოძახებას, გამოძახებები ხშირი არ არის. რუსთაველის პროსპექტზე 9 აპრილს თორმეტი პრიგადა იყო მიმავრებული. თუ საჭიროება მოითხოვს, სასწრაფო დახმარების მანქანა ოპერატიულად მივა დანიშნულების ადგილას.

მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური სხვა სოციალურ პროექტებს ჩვეულ რეჟიმში, შეუფერხებლად ახორციელებს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთი "24 საათი" გაიმთავრებელი იქნება "მზაკვი". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ჯანაშია

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ლინიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაღანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშინია (რეჟიუ), ანა ფარუაშვილი (პორტი). **რედაქცია და რედაქციის მენეჯერი** ირაკლი ლევაძე ტელ: 899 22 09 49. **მომხმარებელი (მენეჯერი)**, ორმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკლის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

ხელისუფლებასთან

შეხვედრის მოლოდინში

პირველი გვერდი

ვიქტორ დოლიძის თქმით, სახალხო პლებისციტისა და მრავალრიცხოვანი დემონსტრაციების შემდეგ, არა მგონია, რომ სერიოზული იყოს ხელისუფლებასთან დათმობაზე წასვლა. ასე რომ, ჩვენ საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე ვაყენებთ მოთხოვნას, - განმარტა მან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ოპოზიცია დათმობაზე წასვლას არ აპირებს, ალიანსი საქართველოსთვის ნევრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლეს ხელისუფალსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის შეხვედრის გამართვას, რათა ამა თუ იმ თემაზე ხელისუფლების პოზიცია მაგიადასთან, კონსტრუქციულ ჩარჩოებში მოისმინონ. **წინასწარ როგორ უნდა ვისაუბროთ, როცა პირადად პრეზიდენტისგან არ გავიგია, თუ რას ფიქრობს სხვადასხვა საკითხებზე,** - აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ.

ალიანსი საქართველოსთვის ნევრმა, რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა 24 საათთან საუბარში განაცხადა, რომ ოპოზიცია მზად არის ხელისუფლებასთან შესახვედრად და იმის განსახილველად, თუ როგორ უნდა წავიდეს სააკაშვილი. იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის შეხვედრა

შედეგად, ლევან ბერძენიშვილის აზრით, მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის მედიატორობაზე არ დათანხმდება. სააკაშვილის მოქმედებაში ვერ ვხედავ ევროპულ ხაზს. ის თანხმება, ელაპარაკოს ხაბაზს და მსგავს ხალხს, ხოლო ევროპის მიმართ მისგან მხოლოდ პრეტენზიები ისმის, აღარ ჩამოდიან, შეხვედრებს არ აწყობენ და სხვა, - განაცხადა ბერძენიშვილმა. პოლიტიკური ოპოზიცია პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ სხვადასხვა დროს ამა თუ იმ მოთხოვნას აყენებდა - კერძოდ, საარჩევნო სისტემის შეცვლას, საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას. რესპუბლიკელი ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ თუკი სააკაშვილი გადადგომას არ აპირებს, თავად შეუძლია სისტემის გამოცვლა, ოღონდ თავისთვის, რადგან ჩვენი მოთხოვნა იგივე დარჩება. ოპოზიციურ სპექტრში მყარად ჩამოყალიბდა აზრი, რომ საქართველოს სააკაშვილთან ერთად პერსპექტივა არ გააჩნია, - განმარტა ბერძენიშვილი. მისთვის გაურკვეველია, თუ რა ნაბიჯი უნდა გადადგას მიხეილ სააკაშვილი, თანამდებობიდან გადადგომის გარდა. ბერძენიშვილის აზრით, შექმნილ ვითარებაში საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაც მიუღებელია.

თუკი ვინმეს საპარლამენტო არჩევნები აინტერესებდა ან ამ გზით სიარულის მოთხოვნა ჰქონდა, ჩვენ მათ რეფერენდუმში და ხალხისთვის კითხვის დასმაც შევთავაზებთ. თუმცა, ჩვენს იდეებს სააკაშვილი მაინცდამაინც ყურადღებით არ ეპყრობა, მაგრამ, თუ მისგან იქნება ასეთი წინადადება, ამას ოპოზიცია განიხილავს. თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მოხსნის სიტუაციის სიმწვავეს. სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას კი არა, საერთოდ არაფერს არ აპირებს და ჯერჯერობით ეს თეორიულ საკითხად რჩება, - მიიჩნევს ბერძენიშვილი. ასეთი განწყობის მიუხედავად, მას მიაჩნია, რომ სააკაშვილთან შეხვედრას მაინც აქვს აზრი, რადგან მას პირადად აუუხსნით, თუ რატომ უნდა ნაბრძანდეს. ალიანსი საქართველოსთვის ნევრმა მამუკა კაციტაძემ 24 საათთან პრეზიდენტთან შეხვედრის ფორმატზე ისაუბრა. მისი თქმით, ამ ტიპის ე.წ. დიალოგზე, პრეზიდენტის გადადგომის გარდა, სხვა საკითხი არ უნდა განიხილოს. მიუხედავად ამისა, როცა დიალოგზე მიდიხარ, იქ არსებობს სხვისი აზრიც, აქედან გამომდინარე, ჩვენ მზად ვართ, მოვისმინო ხელისუფლების მიერ განსახილველად შემოთავაზებული საკითხები. ამიტომ,

მოდით, შემოგვთავაზოს და მეურვედ ვივსჯივით, თუ რაზე ვიმსჯელებთ, - განმარტა კაციტაძემ. პოლიტიკური ოპოზიციისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ მოლაპარაკებები უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილთან გაიმართოს. შესაძლოა მას ჰყავდეს რამდენიმე წარმომადგენელიც, მაგრამ ამ შეხვედრაზე თვითონ სააკაშვილის ყოფნა აუცილებლად მიმართია, ისევე როგორც ამ შეხვედრის გამჭვირვალობა, - განაცხადა კაციტაძემ. ალიანსი საქართველოსთვის ნევრი ამ საკითხში მაინცდამაინც პირდაპირ ეთერს არ გულისხმობს, გამჭვირვალობის უზრუნველყოფელი შეიძლება იყოს საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ საზოგადოების წარმომადგენლის დასწრება. ახალი მემარჯვენეების ნევრი მიიჩნევს, რომ მათი დასწრება საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ის არ გააკეთონ, რაც სჩვევიათ. ამიტომ როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ეს იქნება ამ ხელისუფლების ლუსტრაცია, - განმარტა ალიანსი საქართველოსთვის ნევრმა.

მეთუ ბრაიზა ორ დღეში საქართველოს ეწვევა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ამიერკავკასიის საკითხებში მეთუ ბრაიზა ორ დღეში საქართველოს ეწვევა. ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი. ბრაიზა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ადგილზე გაეცნობა და პოლიტიკურ წრეებთან შეხვედრებს გამართავს. ამჟამად ბრაიზა ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება.

პირველი

საპარლამენტო უმრავლესობა აქციებში ხელოვანების მონაწილეობას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არაჩვეულებრივ ვერაფერს ხედავენ იმაში, რომ სახელმწიფო უწყებების პიკეტირებაში ხელოვანებიც მონაწილეობენ. როგორც პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხათუნა ოჩიაურმა განაცხადა, ხელოვანებიც საზოგადოების ისეთივე წარმომადგენლები არიან, როგორც არახელოვანები. "ამიტომაც განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ამ აქციებში ხელოვანებიც მონაწილეობენ," - აღნიშნა ხათუნა ოჩიაურმა. როგორც ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი როინიშვილმა განაცხადა, აზრის საფაროდ და თავისუფლად გამოხატვის უფლება ყველას და, მათ შორის, ხელოვანებსაც აქვთ. "საპროტესტო აქციებსა და პიკეტებში არა მარტო ხელოვანები, არამედ სხვა სფეროების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. არიან ხელოვანები, რომლებიც თავიანთ საქმეს აკეთებენ და აქციებზე არ მიდიან. ამაში განსაკუთრებული არაფერია. საქართველოში დემოკრატიული პროცესები ვითარდება და აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება ყველას, მათ შორის ხელოვანებსაც აქვთ," - აღნიშნა გიორგი როინიშვილმა. დეპუტატმა აქვე ისიც დასძინა, რომ სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შეფერხება არა მხოლოდ იმ ადამიანებს დააზარალებს, რომლებიც აქციებში არ მონაწილეობენ, არამედ საზოგადოების იმ ნაწილსაც, რომელიც პიკეტირებაში უშუალოდ მონაწილეობს.

მედიანუსი

ახალგაზრდული მოძრაობა "ნაშის" აქტივისტებს თბილისში არ შემოუშვებენ

ახალგაზრდული მოძრაობა "ნაშის" აქტივისტებს თბილისში არ შემოუშვებენ. ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიანიშვილმა განაცხადა. "ოკუპირებული ცხინვალის თბილისისკენ მოძრაი ავტოკოლონის დედაქალაქში შემოსვლა არ მოხდება, თუნდაც იმიტომ, რომ აქტივისტებს ქართული ვიზები არა აქვთ," - განმარტა უტიანიშვილი. მისივე თქმით, ავტოგადარბენის "მოსკოვი-ცხინვალი-თბილისი" მონაწილეებს, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, თბილისში შემოსვლა საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით, 20 დოლარად ლიერებული ქართული ვიზის აღების შემდეგ შეუძლიათ.

პირველი

რუსეთმა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში გამაფრთხილებელი ზომები მიიღო

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანდრეი ნესტერენკო საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელ გრიგოლ ვაშაძის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რუსული არმიის მობილიზება მიმდინარეობს და აღნიშნა, რომ "რუსეთმა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ამ რესპუბლიკებისა და იქ მყოფი რუსი სამხედრო მოსამსახურეების დასაცავად გამაფრთხილებელი ზომები მიიღო". მისივე თქმით, არაფერი ექსტრაორდინარული არ ხდება, რუსული არმიის ქმედებები გეგმიური ხასიათისა და მათი დასრულების შემდეგ სამხედრო ნაწილები დილაკაციის ადგილებს დაუბრუნდებიან. "ეს ზომები დემონსტრაციული, გამაფრთხილებელი ხასიათისაა. რეგიონს საფრთხეს, პირველ რიგში, საქართველოს რემილიტარიზაცია და მისი აქტიურობა უქმნის. საქართველო ამ ქმედებების წამახალისებელ სიგნალებს იღებს," - განაცხადა ნესტერენკომ მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე. ნესტერენკოს აზრით, ნატო-საქართველოს სამხედრო წვრთნების ორგანიზატორები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი მიმდინარე პროცესებზე სერიოზულ პასუხისმგებლობას იღებენ.

@

დიპლომატიის კონტურები

პირველი გვერდი

ამასთან, მზად ვართ, ნავიკითხოთ და საზოგადოებას გავაცნოთ ის იდეები, რასაც ხელისუფლება გვთავაზობს. შემდეგ კი მოვისმენთ საზოგადოებისგან, თუ რამდენად არის მისალმნი მათთვის ხელისუფლების არგუმენტები," - აცხადებს დავით უსუფაშვილი.

არ გამოვიდა ხელისუფლების ახალი ხრიკი, რომ ევროკავშირის წარმომადგენელს ცალცალკე შეხვედროდით და სემინებისთან მოლაპარაკებებიდან გამოსულს განსხვავებული კომენტარები გავგეკეთებინა. ოპოზიციამ განსხვავებული პოზიციები არ არსებობს," - განაცხადა სემენებისთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, ოპოზიცია ერთიანია მხოლოდ ერთ მოთხოვნაზე. ჩვენ ვკვლავ მიგვაჩნია, რომ საჯაროდ უნდა დაველაპარაკოთ მიხეილ სააკაშვილს ერთადერთი მოთხოვნის - მისი გადადგომის შესახებ," - აღნიშნავს საქართველოს გზის ლიდერი. თავის მხრივ, კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგურიც ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ ოპოზიციამ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს.

ოპოზიციას აქვს ერთადერთი მანდატი ხალხისგან - ეს არის სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა და მას შეიძლება მხოლოდ ამ მოთხოვნის შესახებ ვესაუბროთ, - აცხადებს ძიძიგური.

გუშინ პიტერ სემენებისთან მოლაპარაკებებზე ეროვნული

ფორუმის ლიდერებიც მივიდნენ. თუ ხელისუფლებას რაიმე ისეთი წინადადება ექნება, რომელიც საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის, ეს თემა იქცევა ხელისუფლებისა და ოპოზიციის საკამათო საკითხადაც," - მმართველი ძალისგან რეალურ შემოთავაზებას ელოდება ფორუმის ლიდერი კახა შარტავა.

უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი ალიანსი თავისუფლებისთვის წარმომადგენელი გაა მისაშვილი.

ევროკავშირის მზად არის, გადაწყვეტი როლი ითამაშოს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის მოგვარებაში. თუმცა, ისინი ჩვენგან ითხოვენ შეთანხმებულ მოდელს, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელისუფლების ცვლილება ისე, რომ ქვეყანა არ განადგურდეს. სწორედ ამიტომ, ოპოზიციას სჭირდება ერთიანი გეგმა, რომელსაც ჩვენ აუცილებლად წარმოვადგენთ," - აცხადებს მისაშვილი.

პრეზიდენტთან დიალოგისთვის პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძეც მზად არის. მისი თქმით, ხელისუფლების არგუმენტების მოსმენა მათ გაზიარებასა და შესრულებას სულაც არ ნიშნავს.

ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ კომენტარი თავად პიტერ სემენებიმაც გააკეთა.

მისივე თქმით, აღდგომის სადღესასწაულო პერიოდი იქნება ერთგვარი ტაიმ-აუტი, რომელიც საზოგადოებას დაფიქრების, შესვენების და დასვენების გამოტანის საშუალებას მისცემს.

შემდეგ უკვე შესაძლებელი

იქნება იმის გარკვევა, კონკრეტულად როგორ აპირებენ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთთან საუბარს," - რამდენიმე დღიანი პაუზის აღება მიზანშეწონილად მიაჩნია ევროკავშირის წარმომადგენელს. თუმცა, გუშინ მას ოპოზიციის ლიდერთა კონკრეტული პოზიციების შესახებ არაფერი უთქვამს და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებს აქვთ თავიანთი მოსაზრებები, რომელთა შეჯერება და ერთიან პოზიციად ჩამოყალიბება მოუწევთ.

ექსპერტების შეფასებები

დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის დაწყების შესახებ გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას ექსპერტები დადებით შეფასებას აძლევენ.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებასთან ოპოზიციის მოლაპარაკებებზე წასვლა თავად ოპოზიციის შიგნით დაპირისპირების საფუძველი არ გახდება. ამასთან, ცისკარიშვილი სულაც არ არის დარწმუნებული, რომ ეს მოლაპარაკებები რაიმე კონკრეტული შედეგს გამოიღებს.

პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე არ გამოირიცხავს, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დასაწყებად ოპოზიციის ერთი ნაწილის მზაობა, შესაძლოა, ოპოზიციის სტრატეგიის ნაწილი იყოს.

მისი თქმით, ვინაიდან ოპოზიცია მეტად მრავალფეროვანია, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყების თემა კი - საკვანძო საკითხი, გამოირიცხული არ

"რუსეთის მოზრუნება საქართველოში"

დიმიტრი შვალბაძე

ყველა დიდი საპროტესტო მოძრაობა მრავალი პრობლემის გადაწყვეტას ისახავს მიზნად, რომელთაგან ერთ-ერთია მთავარი და სხვა დანარჩენის განმსაზღვრელი. ჯერ ეს მთავარი უნდა გადაწყდეს და სხვა გამომდინარე საკითხების მოგვარება მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

რევოლუციითა და სახელმწიფო გადატრიალებათა კლასიკური ნიმუშის - საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, მაშინდელი ფრანგული საზოგადოების წინაშე მრავალი მძიმე გასაჭირი იდგა, მაგრამ ერთი უმთავრესი მიზნის განხორციელების გარეშე სხვა არც ერთი პრობლემა არ გადაწყდებოდა - აბსოლუტური მონარქია უნდა გაუქმებულიყო. მომდევნო ისტორიული პერიოდის გრძელ პროცესში - სხვადასხვა ქვეყნების, პირობებისა და დროის მიხედვით, იცვლებოდა - რევოლუციების, აჯანყებების, საპროტესტო მოძრაობების, რიგ-გარეშე, ვადამდელი თუ სხვა სახის არჩევნების, შეთქმულებების და გადატრიალებების მთავარი და მეორეხარისხოვანი მიზნები, პრიორიტეტული და აქედან გამომდინარე პრობლემების თანმიმდევრობა, აქტუალობა, მნიშვნელობა.

უკვე ოცი წელი იქნება, რაც საქართველოში მუდმივად დგას არსებული ხელისუფლების გადაყენებისა და დამხობის მოთხოვნა. მარტო მოთხოვნით რომ დავკმაყოფილებულიყავით, რა გვიჭირდა - ყველა მთავრობა მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი რევოლუციების გზით დაემხო. ამ სპეციფიკით საქართველომ ცივილიზებული მსოფლიოს თვალში არც თუ პოზიტიური იმიჯი სამართლიანად დაიმსახურა: მუდმივი გადატრიალებების, ანტისახელისუფლო გამოსვლების, კრიზისების, არასტაბილური გარემოს, მშფოთვარე, ფეთქებადი და ირაციონალური საზოგადოების ქვეყანას რომ შეეფერება.

1990 წლის ოქტომბერში ძალდატანებითი არჩევნების გზით (ხავერდოვანი რევოლუცია) დასრულდა კომუნისტური დიქტატურა საქართველოში.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში შეიარაღებული ამბოხების შედეგად დაემხო ეროვნული ხელისუფლება.

2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საპროტესტო მოძრაობამ შეარყია მაგრამ ვერ შეცვალა შევარდნაძის ხელისუფლება.

2003 წლის ნოემბერში საპროტესტო მოძრაობამ მიზანს მიაღწია და სახელმწიფო გადატრიალების (ვარდების რევოლუცია) შედეგად დაამხო შევარდნაძის ხელისუფლება.

2007 წლის ნოემბერში თბილისი კვლავ გახდა მძლავრი საპროტესტო გამოსვლების მოწამე.

ამჟამადაც მიმდინარეობს საპროტესტო გამოსვლები, რი-

გი ოპოზიციური პარტიები სხვადასხვა მოთხოვნებს აყენებენ, მაგრამ უმეტესობა მათგანის პროტესტი თითქოს ერთ საერთო ლოზუნგს უერთდება - პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გადადგეს! გადასაწყვეტი თითქოს ადრეც და ახლაც ერთი კაცის პრობლემაა. ამით დღევანდელი გამაერთიანებელი ოპოზიციური ლოზუნგი ადრინდელვსა ჰგავს - ჯერ: პრეზიდენტი გამსახურდია უნდა გადადგარიყო, მერე პრეზიდენტი შევარდნაძე...

გამოდის, იმ უამრავ მოუგვარებელ პრობლემებს, რომელსაც ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი აყენებს - ყველაფერს დღევანდელი პრეზიდენტი ვადადგომა მოხსნის, მოაშუშებს და გადაჭრის ან საამისო პირობებს შექმნის. კერძოდ: დემოკრატიული თავისუფლებები; მედიის თავისუფლება; ადამიანის უფლებები; სასამართლო რეფორმები; ფაქტობრივი ერთპარტიული მმართველობა და ავტორიტარული მართვა; ეკონომიკური ვარდნა; სოციალური დაუცველობა; მასობრივი უმუშევრობა; პოლიტიკური ოპონენტების დევნა-შევიწროება; კერძო საკუთრების უსაფრთხოების პრობლემა; ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის პროცესის გაღრმავება; მრისხანე მეზობელთან კონფრონტაცია და მასთან ურთიერთობის მოგვარების უპერსპექტივობა; დასავლეთის მხარდაჭერის შესუსტება და მისი რუსეთთან დაპირისპირების გამორიცხვა, საქართველოს პრობლემატიკის სფეროში; ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის შეფერხება....

კი, ხდება ხოლმე: ძველ ხელისუფალს მოიშორებენ თავიდან და ძირითადი პრობლემების გადაწყვეტის გზები იხსნება. ისტორიაშიც ხშირად მომხდარა ასე. თუმცა, პირიქითაც უფრო ხშირად ხდებოდა. ამისი მაგალითი ჩვენი ქვეყანაა: ძველი პრეზიდენტები ემზობოდნენ, ახლები მოდიოდნენ, პრობლემები კი ძირითადად იგივე რჩებოდა. კარგად გვახსოვს: გამსახურდიას "დიქტატურა" დაემხო, შევარდნაძე მოვიდა, ქვეყანა დსთ-შიც შევიდა და თითქოს რუსეთთან დაძაბულობის მიზეზიც მოიხსნა, მაგრამ სწორედ მაშინ დაირღვა ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა: აფხაზეთი და ე. წ. "სამხრეთ ოსეთი" სწორედ მაშინ გავიდნენ საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციიდან.

ფაქტობრივად შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც ასე მოხდა: 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა შუასაუკუნეობრივი, ბარბაროსული პირდაპირობით, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით დაიპყრო და მიიტაცა სუვერენული სახელმწიფოს ორი ისტორიული რეგიონი.

ზემოაღნიშნული მაგალითები გვიდასტურებენ, რომ საქართველოსთვის პრეზიდენტების ცვლაში კი არ დევს პრობლემა, არამედ პრეზიდენტების ცვლის

მიზეზში. ზემოთ რომ ჩამოვთვალით მიზეზები, იქიდან ერთ-ერთია მთავარი და განმსაზღვრელი. ეს მთავარმიზეზი სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი გადაწყვეტით არამარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, განსაკუთრებით ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში და არა მხოლოდ იქ, არანაკლებ არიან დაინტერესებულნი.

რუსეთის დაინტერესების მთავარმიზეზი - საქართველოს საგარეო ორიენტაციაა. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის მთავარი შემოქმედი რომ საბჭოთა კავშირი და მისი სამართალმემკვიდრე - დემოკრატიული რუსეთი იყო, კარგადაა ცნობილი.

ეს დღესაც შეიძლება განმეორდეს, ზვალაც, იმ დრომდე, სანამ საქართველო დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიებს არ მოიპოვებს. დღეს რაც საქართველოში ხდება, ამ პროცესების მთავარი მამოძრავებელი - კვლავ საგარეო ორიენტაციისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს გაურკვეველი ადგილია. აგვისტოს ომმა და ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ლამის პაციფისტურმა სტრატეგიამ კვლავ გამოიწვია საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხის აქტუალიზაცია.

შეცვლილმა საერთაშორისო კონიუნქტურამ ჩვენს სამხრეთ-პოლიტიკურ სპექტრშიც გამოიწვია ჩოჩქოლი, ამოძრავება. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის უმრავლესობა ყველაფერზე ლაპარაკობს, მაგრამ ყველაზე მეტად ერიდება საგარეო ორიენტაციაზე საუბარს. თუ რომელიმე ახირებულმა ყურნალისტმა დაჟინებით მოითხოვა საგარეო ორიენტაციის დაფიქსირება, მაშინ ოპოზიციონერი ლიდერები ლულულეს ინყებენ, ბუნდოვან პასუხებს იძლევიან და გარკვეულ პოზიციას არ ამხელენ: "იცით ნატო ჩვენთვის პანაცეა არ არის," "ჯერ დასავლეთმა თავად უნდა გაარკვიოს რა უნდა," "ჩვენ ჯერ უნდა რუსეთთან გავარკვიოთ ურთიერთობა" და რაიმე ამისმაგვარი გიმნოსოფისტური აბაღაზება.

რას მალავენ? თავიანთ პრორუსულ ნოსტალგიას? ზოგიერთი მათგანი ირიბად მიეპარა სათქმელს - თუ სოროსმა "ვარდების რევოლუცია დააფინანსა, რატომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მილიონერებს არ უნდა შეეძლოთ ოპოზიციის დაფინანსება - გახსოვთ, ერთ-ერთი "მრენველის" ლოგიკური ტელეთეზისი?

გარკვეულად, ნათლად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ეს ყველაფერი ნიშნავს შემდეგს - დღევანდელ ოპოზიციაში არიან სერიოზული პრორუსული ძალები, რომლებსაც სურთ, საქართველოს რუსეთის ორბიტაში დაბრუნება. ისინი შესაძლებლობის შემთხვევაში კარგად გამოიყენებენ, დემოკრატიული ოპოზიციის გულწრფელ ანტიავტორიტარულ პროტესტანტულ აქტიურობას და ერთ მშვენიერ დღეს

აღასრულებენ, ორთავიანი არწივის ქართულ-რუსული საუკუნოვანი ძმობის ოცნებას.

ასე რომ ამჟამად ორი საკითხი დგას დღის წესრიგში: პირველი - ერთის შეხედვით, გარეგნულად, ზედაპირულად - გაუნონასნორებელი, ინფანტილური ავტორიტარიზმი თუ დემოკრატია; მეორე - დასავლეთი თუ რუსეთის მობრუნება. აქედან, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორის როლს დემოკრატიისათვის ბრძოლა კი არა, საგარეო ორიენტაციის შეცვლისათვის ბრძოლა წარმოადგენს. ამ უკანასკნელ პროცესში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სამხრეთი, არამედ საგარეო ძალებიც და ამითაა იგი სახიფათო ქვეყნისთვის.

საბოლოო სურათი ასეთია: საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დღეს რამდენიმე პოზიცია არსებობს:

პირველი - არსებული ხელისუფლება დასავლური ორიენტაციისა და რუსეთთან დეზინტეგრაციის კურსის უპირობო განმხორციელებელია. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვაი რომ ეს არ კმარა. ხელისუფლება და მისი მეთაური რიგ შემთხვევაში, პირდაპირ სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან პროდასავლურ კურსს. აგვისტოს ომმა ისედაც მინიმუმადე დაიყვანა ხელისუფლების ანტიკრიზისული რესურსი. მას თითქმის არ გააჩნია რუსეთთან რაიმე პოზიტიური ურთიერთობის პოტენციალი. იგი ვერ აშოშმინებს ოპოზიციას. პრეზიდენტის ქმედება ერთპიროვნული, შეუზღუდავი და უკონტროლოა, ისე ჩანს რომ მას არა აქვს დიალოგი არა მარტო ოპოზიციასთან, არამედ საკუთარ სახელისუფლო გუნდთან, ან ეს უკანასკნელია უნიათო და დადამბლავებული, რომ მათი მეთაურის შოკისმომგვრელ სურვილებს აღუდგეს წინ, ურჩიოს, გააკონტროლოს. იქნებ ამის შესახებ ლიბერალურ-დემოკრატიული და პროდასავლური სტრატეგიის იდეოლოგებმა მაინც ამოიღონ ხმა. სწორედ მათ მინდა შეეახსენო კარლ პოპერის ერთი დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სოციალიზმის იდეა "დასავლეთში მოკლა რუსულმა გამოცდილებამ." პერიფრაზს გავაკეთებ: ისე არ გამოვიდეს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ მოკლას დასავლეთის იდეა საქართველოში. ეს რომ არ მოხდეს, ხელისუფლება იმან უნდა აკრიტიკოს და ცდომილებებზეც იმან მიუთითოს, ვისაც ხელისუფლება ჯერ კიდევ ენდობა.

მეორე ჯგუფია "ალიანსი საქართველოსათვის" და მისი მხარდამჭერნი. ისინი, რესპუბლიკელები, ახალი მემარჯვენეები, მათი მეთაური, პროდასავლურ პოზიციაზე არიან, თუმცა, მთლად ნათელი არ არის მათი განცხადებები, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისა და რუსეთთან კომპრომისის ზღვარის შესახებ. მათი დემოკრატიზმი, ანტიავტორიტარიზმი

ექვს არ იწვევს, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის კურსი - განსამარტია.

მესამე ჯგუფი - ბურჯანაძის გუნდი, რუსეთთან უფრო ღრმა კომპრომისის მომხრეა, მაგ., საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადებამდე, როცა ჩვენი ქვეყანა ძნელად შემოსალწვეი იქნება დასავლეთისთვის და ადვილად საკონტროლო რუსეთისთვის. აღარაფერს ვამბობთ, რამდენიმე კვირის წინ ტელევიზიით გამოშვებულ პირთა ჯგუფზე, იარაღის შეძენაზე, გადატრიალების მცდელობაზე და ა. შ. რაც უკავშირდება ბურჯანაძის ჯგუფს და ეჭვს აძლიერებს. ამ ეჭვების გასაფანტად, საუკეთესო საშუალება იქნებოდა ამ პოლიტიკური ძალისაგან მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგარეო ორიენტაცია და რუსეთთან ურთიერთობის კურსის განსაზღვრა, რაც დღემდე არ გაკეთებულა და არც მომავალში ველოდებით.

გაერთიანებული ოპოზიციის საგარეო-ორიენტაციული კურსი კიდევ უფრო ბუნდოვანი, კიდევ უფრო პრორუსული, კიდევ უფრო დამთმობი და კიდევ უფრო გაუთვლელია. ამ კონგლომერატში, ზოგიერთი ისეთი ძალები და პირები არიან, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომია მხოლოდ 1920-იანი წლების ქართველ ბოლშევიკთა ასოციაციას იწვევს. ყველაზე გაუგებარი და დამთრგუნველი კი ისაა, რომ ამ კონგლომერატში ერთად დგანან 1991-1992 წლების პოზიტიური და ნეგატიური პერსონაჟები, დამხობილები და დამამხობლები, მაგ., ზვიად ძიძიგური და გოგა ხაინდრავა.

ლეიბორისტების გულწრფელობა და პირდაპირობა მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს - ისინი ყოველთვის და დღესაც ნათლად აფიქსირებენ თავიანთ ანტიდასავლურ პოზიციებს.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური 2009 წელი პირველ რიგში საქართველოს საგარეო ორიენტაციის ცვლის საფრთხეს შეიცავს, ხოლო ჩვენ ეს უფრო დამბლავებელ პერსპექტივად მიგვაჩნია, ვიდრე ის, გადადგება თუ არა დღევანდელი პრეზიდენტი. ის შეიძლება შეიცვალოს ან არ შეიცვალოს, მაგრამ არ უნდა შეიცვალოს დასავლური ინტეგრაციის სტრატეგია.

ნორმალურად, სტაბილურად განვითარებული პოლიტიკური პროცესები - განამტკიცებს ქართველი ხალხისა და საზოგადოების დასავლურ არჩევანს. რუსთაველის პროსპექტზე დასახლება, თბილისის კვლავ კარავების ქალაქად ქცევა, ფართოდ და ხმაურიანი დესტრუქცია, სამოქალაქო ცხოვრების მოშლა და ამისთანები კი იმის პერსპექტივას შექმნის, რომელიც თავისი წიგნის სათაურში გამოხატა ერთმა დიდმა პატრიოტმა ქართველმა ემიგრანტმა ვლასა მგელაძემ - "რუსეთის მობრუნება საქართველოში."

საქართველოს მთავრობა რადიკალური ოპოზიციის მოთხოვნებს მოხარებად არაბუღიერებს

ვლადიმერ სკორო
“ევრაზია დეილი მონიტორი”

საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიციამ 2007 წლის შემდეგ “რეჟიმის შეცვლის” უკვე მესამე მცდელობა წამოიწყო - მთავრობების დამხობის მოძველებული მეთოდების ნაცვლად, პოსტმოდერნისტული ვერსიით ანუ არჩევნების გზით (“ევრაზია დეილი მონიტორი”, 10 აპრილი). თუმცა აღმოჩნდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები ამ ახალი კამპანიის გამოწვევებზე საპასუხოდ გაცილებით უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე 2007 წლის ივნისსა და ნოემბერში. გამოცდის დასრულების ვარაუდი მაინც ნაადრევია, ხოლო შედეგები ბუნდოვანი.

დასავლელი პარტნიორები კი საქართველოს ხელისუფლებისთვის თამასას, როგორც ჩანს, კიდევ უფრო მაღლა სწევინ, ვიდრე ამას პოლიტიკური და სოციალური უკმაყოფილების შემთხვევაში სხვა ქვეყნების მიმართ ან თუნდაც შინ გააკეთებდნენ. სიმბოლური დატვირთვის მქონე რადიკალი ლიდერები კი პოლიტიკური ქცევის თვალსაზრისით გაცილებით დაბალი სტანდარტების არიან, ვიდრე ეს მისაღებია ნებისმიერი ევროპული ქვეყნისთვის, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ამ მძაფრ პოტენციალს ავლენენ იმ ქვეყანაში, რომელსაც სტრატეგიულად სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია და ამავედროულად რუსული საფრთხის წინაშე დგას.

ქართული მთავრობა გამომწვევას მაქსიმალურად გამჭვირვალე და პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების მოქმედების შეკავების სტრატეგიით პასუხობს. პოლიტიკურ დონეზე კი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციის ლიდერებს პოლიტიკურ სისტემაში სპეციფიკური რეგულაციების შესახებ მოლაპარაკებებს სთავაზობენ, იღონდ არსებული საარჩევნო ციკლის პირობებში.

ოპოზიციის ამჟამინდელი კამპანიის დაწყებამდე, საქართველოს ხელისუფლებამ დახმარება სთხოვა და მხარდაჭერა მიიღო დასავლეთ ევროპულ-

ლი სამართალდამცავი და საშინაო უსაფრთხოების ექსპერტებისგან - ძირითადად, ხალხის მასის კონტროლის მეთოდებზე. ევროკავშირის რამდენიმე წევრმა ქვეყანამ 9 აპრილს დაწყებულ დემონსტრაციითა სერიასა და პოლიციასა და დემონსტრანტთა ურთიერთდამოკიდებულებაზე დაკვირვების მიზნით დამატებით წარმომადგენლები გამოგზავნა. ევროპელი დამკვირვებლები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სიტუაციით მართვის ოთახში სხედან, მოვლენების განვითარებასა და პოტენციურ რეაქციაზე დასაკვირვებლად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, მოადგილეებთან ეკატერინე ზღულაძესა და შოთა უტიანაშვილთან ერთად, მედიასა და ოპოზიციონერ დემონსტრანტებს პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების ტაქტიკა გააცნო. პოლიცია და შიდა უსაფრთხოების პერსონალი სამთავრობო შენობებშია გამაგრებული და გარე პერიმეტრსაც იცავენ. დემონსტრანტებს უფლება აქვთ, მშვიდობიანად გადაადგილდნენ თბილისის ცენტრში და გაიმართონ მიტინგები “ერთ ან ათ ადგილზე”, ასევე დარჩნენ ქუჩებსა და მოედნებზე მანამდე, სანამ სურთ; ჯამში, მათ “მშვიდობიანი დემონსტრაციების გამართვის შეუზღუდავი თავისუფლება აქვთ” (“რუსთავი 2”, “იმედი”, 9-12 აპრილი).

რადიკალი ლიდერები მხარდამჭერებს 13 აპრილიდან სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, საჭიროების შემთხვევაში კი არალეგალური ქმედებებისკენაც მოუწოდებენ. როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკატერინე ტყემელაშვილმა განმარტა, “სამოქალაქო დაუმორჩილებლობა არ უნდა აურიონ გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმებში.” (“რუსთავი 2”, 12 აპრილი).

უნიფორმიანი პოლიციელები და სხვა სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემატურად ცდილობენ, თავი აარიდონ დემონსტრანტებთან პირდაპირ კონტაქტს. უნიფორმიანი ხელისუფლება დემონსტრანტებს, უბრალოდ, მარტო ტოვებს. ამგვარი თავ-

შეკავება დასუფთავებისა და სახანძრო სამსახურებზეც ვრცელდება. ასეთი პოლიტიკიდან ერთადერთი გადახვევა ქალაქის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლებისა და მომიტინგეების ინციდენტით დასრულდა, როდესაც ახალგაზრდა დემონსტრანტებმა აიძულეს სანიტარული სამსახურის მუშაკები, ტერიტორია დაეტოვებინათ. ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო გაამყარა ხელისუფლების ჩაურევლობის პოლიტიკა. თუმცა, ამის შემდეგ მომიტინგეებმა დემონსტრაციულად დაყარეს ნაგავი მერიისა და პრეზიდენტის რეზიდენციის წინ, მაგრამ ამის გამო არავინ დასჯილა (“სივილ ჯორჯია”, 12 აპრილი).

სატელევიზიო არხები, რომლებიც ხელისუფლებასთან დაახლოებული წრეების ხელშია, მოვლენებს დეტალურად აშუქებენ პოლიტიკით ისედაც მეტისმეტად გადაღობილი საზოგადოებისთვის. საქართველოში საფრანგეთის ელჩი ერიკ ფურნიე მასობრივი დემონსტრაციების დღეს ყველა ტელევიზიას ეწვია, ნიუსრუმები დაათვალიერა და დაასკვნა, რომ ყველა ტელევიზია ასახავდა “სრულ, ობიექტურ სურათს, რაც გვიდასტურებს, რომ საქართველო განვითარებადი დემოკრატიული ქვეყანაა. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია ევროპელებისთვის” (“რუსთავი 2”, 9 აპრილი). როგორც ჩანს, საქართველომ, სხვა თუ არაფერი, ევროპული ფუფუნების ეს კომპონენტი მაინც შეიძინა.

პოლიტიკურ დონეზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ისევე როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ და საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელებმა, ოპოზიციის ლიდერებს მოლაპარაკებები შესთავაზეს ძალაუფლების ფართოდ გადანაწილებისა და მკაცრად შემოწმება-ბალანსის სისტემის შესახებ. წინადადებები შემდეგ საკითხებს მოიცავს: საპარლამენტო ხელისუფლებისა და ფუნქციების გაძლიერება; საარჩევნო კანონის შეცვლა მცირე პარტიების წარმომადგენლობის სასარგებლოდ პარლამენტში; ასევე მერიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემის შემოღება.

სახელმწიფოს ხელმძღვა-

ნელობა უარს ამბობს ნებისმიერ ულტიმატუმზე, რადგან მოთხოვნა ეხება პრეზიდენტის გადადგომას 2013 წელს კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპარლამენტო შტოს ლიდერები არ ცვლიან პოზიციას და მზად არიან, ქუჩებში დემონსტრანტთა რაოდენობის მიუხედავად, მოუსმინონ და განიხილონ ცვლილებები. ეს იმ შემთხვევაშიც თუ ამასობაში მომიტინგეთა რაოდენობა შემცირდება.

თუმცა, არასაპარლამენტო ოპოზიციის რადიკალი ლიდერები მოლაპარაკებებზე უარს ამბობენ. მათი თქმით, ისინი მოლაპარაკებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუ საუბარი პრეზიდენტის გადადგომის პირობებსა და ახალი არჩევნების დანიშვნას შეეხება და ამასთან მოლაპარაკებებს მხოლოდ სატელევიზიო პირდაპირ ეთერში დაიწყებენ. სააკაშვილმა და პარლამენტის სპიკერმა სატელევიზიო წარმოდგენა გამოიციხეს და მონინალმდეგეებს შედეგზე ორიენტირებული დიალოგისკენ მოუწოდეს. ისინი შეთავაზებებს არ აკეთებენ “ზოგიერთი ოპოზიციონერის გულის მოსაგებად”, არამედ თანხმობას აცხადებენ ისეთ რეფორმებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს გრძელვადიან სტაბილურობასა და სამიედო პოლიტიკურ სისტემას (“სივილ ჯორჯია”, 10-12 აპრილი).

ოპოზიციის ერთადერთი ზომიერი ლიდერი ირაკლი ალასანია ცდილობს, შუამავლის როლში გამოვიდეს. ალასანია პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ მოდის და ოპოზიციურ ლიდერებს შორის იშვიათი განონასწორებელი პერსონაა. მაგრამ პოლიტიკური ნიადაგის სიმწირის გამო არ შეუძლია, თავს უფლება მისცეს, დაკარგოს ქუჩებში რადიკალების მხარდაჭერა. შუამავლის როლი ეკისრება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელ პიტერ სემენებისა და საქართველოში ჩეხეთის ელჩ ივან იესტრაბს. ორივე მუდმივ კავშირშია როგორც მთავრობასთან, ასევე ოპოზიციასთან.

“რუსეთი საქართველოს ანექსიას აპირებს”

“საქართველოს დემოკრატიული პარტიის” ლიდერმა, დეპუტატმა ვია თორთლაძემ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელ აგრესიაზე საგანგებო მიმართვა შეიმუშავა. როგორც მან ბრიფინგზე განაცხადა, რუსეთი საქართველოს ტერიტორიის ანექსიას აპირებს. თორთლაძის ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ძალის მოხიზვება სწორედ ამას უკავშირდება. მისივე თქმით, მოსალოდნელი აგრესიის პირდაპირი ნიშანია აღნიშნულ რეგიონებში სამხედრო კორესპონდენტების დიდი რაოდენობით შეყვანა. “რუსეთი განსაკუთრებული შემთხვევისთვის ემზადება. არსებული საფრთხე საქართველოს ყველა მოქალაქემ და პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გააცნობიეროს. ჩვენი ქმედებით სახელმწიფოს დაშლის მცდელობას ხელი არ უნდა შევუწყობ. ვნების კვირის მიწურულს, ადღაგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მოახლოებისას, დადგა დრო, როცა მთელი ერი ერთადერთი იდეის - საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად და რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის შესაჩერებლად უნდა გაერთიანდეს,” - აღნიშნა ვია თორთლაძემ. ზემოთ ხსენებული მიმართვა საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისში დაიდება და მასზე ხელმოწერა ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელს შეეძლება. მიმართვის ტექსტს ხელი პირველად ვია თორთლაძემ და მისმა თანაპარტიულებმა მოაწერეს. მედიანუსი

58-ე არმიამ საქართველოს სრული ოკუპაციის ინსტრუქცია მიიღო

5 აპრილს რუსეთის 58-ე არმიამ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიდან მორიგი ინსტრუქციები მიიღო. როგორც საინფორმაციო სააგენტო “მედიანუსს” ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, ინსტრუქციებში მითითებულია, რომ საქართველოსთან საბრძოლო მოქმედების განახლების შესაძლებლობა მაღალია და შესაბამისი ბრძანების შემთხვევაში, 58-ე არმიის ნაწილებმა უნდა იმოქმედონ კონკრეტული გეგმის მიხედვით.

ზუგდიდის შტურმს დაიწყებენ 131-ე და 205-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადები, 135-ე მოტომსროლელი პოლკი შეტევას ნალენჯისა-ჩხორწყის მიმართულებით წამოიწყებს, 33-ე და 34-ე ცალკეული სამთო მოტომსროლელი ბრიგადები კი, სვანეთის დაკავებას შეეცდებიან.

ფოთის დაკავება 19-ე დივიზიის დაევალება. წარმატების შემთხვევაში, ზემოხსენებული ნაწილები გაძლიერდებიან 429-ე პოლკით, 292-ე თვითმავალ-საარტილერიო პოლკით, 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონით, 1415-ე ცალკეული რეაქტიული საარტილერიო დივიზიონით და 70-ე გვარდიული მოტომსროლელი პოლკით, რომლებიც შეტევას ჯერ სენაკის (სადაც 58-ე არმიის შტაბი გენერალურ ბრძოლას ვარაუდობს), შემდეგ კი სამტრედიის მიმართულებით გააგრძელებენ. წარმატების შემთხვევაში, ეს დაჯგუფება გაძლიერდება 72-ე მოტომსროლელი და 50-ე გვარდიული თვითმავალი საარტილერიო პოლკით და მათი სამიზნე ქუთაისი იქნება. აფხაზეთში მობილიზებული 58-ე არმიის ზემოხსენებულ დაჯგუფებას სავარაუდო მონინალმდეგედ განესაზღვრა საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2, მე-3, მე-5 ქვეითი ბრიგადები და ბათუმის საზღვაო ფეხოსანთა ბატალიონი. კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში მობილიზებულმა 58-ე არმიის დაჯგუფებამ და 76-ე სადესანტო პოლკმა შემდეგი სახის ინსტრუქციები მიიღეს: 693-ე მოტომსროლელი პოლკი და 42-ე დივიზია ახალგორიდან თბილისი-იგოეთის და მცხეთა-კასპის მონაკვეთის ბლოკირებას შეეცდებიან. ამ მიმართულებაზე გადაისვრიან 136-ე პოლკსაც. ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიას თავშეყრის ადგილად განესაზღვრა სოფელი ხეთაგუროვო, შესაბამისად გორის დაკავების და ცენტრალური მაგისტრალის ბლოკირება სწორედ ამ დივიზიას განესაზღვრა. ეს დაჯგუფება გაძლიერდება 481-ე პოლკით და 1329-ე ტანკსანინალმდეგო ბატალიონით. ცხინვალის რეგიონში მობილიზებულ დაჯგუფებას სავარაუდო მონინალმდეგეებად განესაზღვრათ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი, მეოთხე ქვეითი ბრიგადები, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმები და მონახლისეი.

კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, ორივე დაჯგუფების წარმატებული მოქმედების დამაგვირგვინებელი ფაზა თბილისის შტურმი იქნება, მაგრამ გეგმის ამ ნაწილის დეტალები უცნობია. ინფორმირებულმა წყარომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი გეგმის არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უახლოეს მომავალში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყება. მაგრამ, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში რუსების მობილიზება და 58-ე არმიისთვის რუსეთის გენერალური შტაბიდან მსგავსი ინსტრუქციების დაგზავნა თავისთავად უკვე საგანგაშო ფაქტია.

მედიანუსი

ნატო-საქართველოს სამხედრო წვრთნები 6 მაისს დაიწყება

ნატო-ს ოფიციალური ინფორმაციით, საქართველო-ნატოს სამხედრო წვრთნები 6 მაისს დაიწყება და 11 ივნისამდე გაგრძელდება. წვრთნებს მადრიდში ნატო-ს მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი კაეტანო მიროვალსი უხელმძღვანელებს. წვრთნები ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გაიმართება და მასში ალიანსის წევრი 23 სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

აღნიშნული წვრთნების სა-

ქართველოში გამართვას მოსკოვი ეჭვის თვალთ უყურებს და აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს ეგიდით სწავლების გამართვა ალიანსის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერად აღიქმება. ნატო-ში რუსეთის ელჩ დიმიტრი როგოზინის განაცხადებით, “აღნიშნული სწავლების გამართვა გამოიყურება, როგორც ალიანსის მხრიდან სააკაშვილის მხარდაჭერა და გარკვეული გა-

მონვევა არა მარტო ქართული ოპოზიციისთვის, არამედ სამხრეთ ოსეთისთვის, აფხაზეთისთვის და რუსეთისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, ამ სიტუაციაზე რეაგირება არ მოახდინონ”.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, ნატო-საქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნები კავკასიაში სტაბილურობის დამყარებას ხელს არ შეუწყობს. ეს განცხადება ლავროვმა ერევანში

გააკეთა, სადაც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-20 სხდომაში მონაწილეობს.

“ნატო-ს თანამონაწილეობის დემონსტრაცია იმაში, რაც საქართველოს რეჟიმს ეხება, ალბათ, არ გაუფხავნის სწორ სიგნალს მათ, ვისაც კავკასიაში სტაბილურობის მიღწევა გულწრფელად სურთ,” - აცხადებს ლავროვი.

საკუთარი ინფორმაცია

35 წლის მამაკაცი ნიღბიანებმა სცემეს

უცნობმა პირებმა ეროვნული ფორუმის წევრი შალვა სადალაშვილი სცემეს.

როგორც ჟურნალისტებს “ეროვნული ფორუმის” პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მადამ პოპიაშვილმა განუცხადა, შემთხვევა 15 აპრილს, გამთენიისას მოხდა, მას შემდეგ, რაც სადალაშვილი პარლამენტის შენობიდან ტაქსით სახლში მიდიოდა. როგორც დაზარალებული ყვება, მას დაედევნენ უცნობი პირები სამი მანქანით და ერთაჭალაში ბალნეოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ტაქსი, რომელშიც იჯდა, გააჩერეს, ავტომობილიდან გადმოიყვანეს და ორ მანქანაში მსხდომმა ნიღბიანებმა სასტიკად სცემეს. ერთი მანქანა, რომელიც თავდამსხმელებს თან ახლდა, საავტომობილო მიმოსვლას აკონტროლებდა. დაზარალებული ამბობს, რომ მასზე თავდასხმის დროს საპატრულო პოლიციის მანქანამ ჩაიარა, თუმცა აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია. შალვა სადალაშვილს თავდასხმის შედეგად აღენიშნება ორივე ხელის მოტეხილობა, ასევე მარცხენა ქვედა ნეკნის მოტეხილობა.

35 წლის შალვა სადალაშვილი აღნიშნულ ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნევს. მისი თქმით, თავდასხმის დროს ნიღბიანმა პირებმა გააფრთხილეს, თუ ის კიდევ მივიდოდა საპროტესტო აქციაზე, კიდევ გაუსწორდებოდნენ ფიზიკურად. დაზარალებულს თავდასხმელებმა მობილური ტელეფონი და საბუთები წაართვეს.

როგორც ეროვნულ ფორუმში აცხადებენ, აღნიშნულ ფაქტს პარტია საერთაშორისო საზოგადოებას და სახალხო დამცველს გააცნობს.

მედიაინფოს

შალვა რამიშვილი შესაძლოა, “უდოს” წესით გაათავისუფლონ

ტელეკომპანია “202“-ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი, რომელიც უკვე ოთხი წელია, სასჯელს იხდის, შესაძლოა, “უდოს” წესით გაათავისუფლონ. რამიშვილის გათავისუფლება იმ საკანონმდებლო ცვლილებას მოჰყვება, რომელიც უახლოს მომავალში “უდოს” კომისიის შემადგენლობის გაფართოებას ითვალისწინებს.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით, კომისიის შემადგენლობაში სასჯელალსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, საპატრიარქოს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების თითო წარმომადგენელი შევა, რომლებიც პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულთა საქმეებს გადახედავენ.

ეს საკითხი სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშინმა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა პარტია “ქრისტიან-დემოკრატიის” ოფისში განიხილეს. გიორგი თარგამაძის პოლიტიკური გუნდი აღმასრულებელი ხელისუფლების ამ ინიციატივას მხარს უჭერს.

ჟურნალისტი შალვა რამიშვილი პრეზიდენტის შეწყალების ფორმატში გათავისუფლებაზე უარს აცხადებს. “202“-ის დამფუძნებელი სწორედ “უდოს” წესით - ვადაზე ადრე გათავისუფლებას ითხოვს.

პირველი

“ალიანსის საქართველოსთვის” გორის რეგიონალური შტაბის თანათავმჯდომარემ შიმშილობა დაიწყო

“ალიანსის საქართველოსთვის” გორის რეგიონალური შტაბის თანათავმჯდომარე თამაზ მაყაშვილი, რომელიც გორის სამხარეო პოლიციის წინასწარი პატიმრობის იზოლაციაშია, შიმშილობა დაიწყო.

როგორც სახალხო დამცველის ადგილობრივი აპარატის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მაყაშვილი მოძღვართან შეხვედრას ითხოვდა, თუმცა ამ დრომდე სასულიერო პირს მასთან შეხვედრის უფლებას არ აძლევენ.

თამაზ მაყაშვილს გორის რაიონულმა სასამართლომ ათდღიანი ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა და მას დღეს, საღამოს 8 საათზე გაათავისუფლებენ.

რომ თამაზ მაყაშვილი რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებთან მომხდარი დაპირისპირების გამო დააკავეს.

პირველი

საქართველოს მსს-მ რუსეთის ბაზა ბახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მოქალაქე ალექსანდრე კუზნეცოვი დააკავა, რომელიც, მისივე განცხადებით, ვლადიმირ პუტინის მიერ დაფუძნებული ახალგაზრდული ორგანიზაცია “ნაშის” წევრია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულმა აღიარა, რომ ცხინვალის ორგანიზაცია “ნაშის” აქტივისტების გად-

მოყვანის ორგანიზება ჰქონდა და ვალეულო. გეგმის თანახმად, ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთისას უნდა მომხდარიყო პროვოკაცია, კერძოდ, რუსი აქტივისტების თანხმებულ შეიარაღებულ დაცვას უნდა დაეწყო სროლა.

მსს-ს მიერ დაკავებულ პიროვნებას თან აღმოაჩნდა სახელმწიფო დუმის წევრის, ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ბელოკონევის წე-

რილი. ბელოკონევი პასუხისმგებელ პირებს თხოვს საჭიროების შემთხვევაში კუზნეცოვსა და მის მეგობრებს - ნაშის წევრებს საქართველოსკენ მსვლელობისას დახმარება აღმოუჩინონ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ალექსანდრე კუზნეცოვი 2008 წლის 21 მაისს საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებო-

და. მისი აღიარებით, ჟურნალისტის საფარქვეშ მუშაობდა 2008 წლის ბუქარესტის ნატო-ს სამიტზე, ასევე კოსოვოში და ერაყში ჩატარებული არჩევნების მსვლელობისას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ალექსანდრე კუზნეცოვი შეიცარიის საელჩოს გადასცა, რომელიც საქართველოში რუსეთის ფედერაციის ინტერესებს წარმოადგენს.

საკუთარი ინფორმაცია

მყარი კონტრაგენტი რუსეთის

ფედერაციის წინააღმდეგ

ხათუნა გიგაური

ცნობს თუ არა დასაშვებად ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფო სარჩელს, რამდენიმე თვის შემდეგ ვახდებთ ცნობილი. საუბარია ევროსასამართლოში 2007 წლის 26 მარტს შეტანილ სარჩელზე, რომელიც 2006 წლის შემოდგომაზე, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მასობრივ დეპორტაციას და მათი უფლებების სისტემატიურ, უხეშ დარღვევებს ეხება.

საქართველოს სახელმწიფო სარჩელთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლოში ზეპირი მოსმენა გაიმართა. ევროპელი მოსამართლეები მოსარჩელე-მოპასუხე მხარეების არგუმენტებს ორი საათის განმავლობაში ისმენდნენ, რის შემდეგაც გადაწყვეტილების გამოსაცხად საათობრივად გავიდნენ. თუმცა, ცოტა ხანში გაირკვა, რომ ევროსასამართლოს მოსამართლეებმა იმის გადასანყვეტად, განიხილონ თუ არა საქართველოს სახელმწიფო სარჩელი არსებითად, ორთვიანი ვადა მოითხოვეს.

ქართული მხარე დარწმუნებულია, რომ სარჩელში და საქმის ზეპირი მოსმენისას წარდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები სტრასბურგის სასამართლოსთვის საკმარისი აღმოჩნდება და სარჩელის არსებითი განხილვა მოხდება.

ქართული მხარის წარმომად-

გენლებმა სტრასბურგელ მოსამართლეებს დეტალურად აუხსნეს, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ქართველების ეთნიკურ დევნას და კოლექტიურ გამოძევებას. ეთნიკურ ქართველებს რუსეთის ფედერაციაში უხეშად შეუღალა ევროკონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

ქართული მხარის არგუმენტებს და საერთოდ, ქართულ სარჩელს ზეპირ მოსმენაზე უსაფუძვლო უწონდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა.

“ეს ყველაფერი არამეგობრული ურთიერთობის გაგრძელება და გამყარებას ემსახურება. სარჩელი რუსეთ-საქართველოს შორის ისედაც გაფუჭებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესებას იხსნავს მიზნად. საქართველომ კარგად უნდა გაცნობიეროს, რომ მორიგი არამეგობრული ნაბიჯი რუსეთის წინააღმდეგ ორმხრივ ურთიერთობებისთვის ცუდი ამბავია. ჩვენ დეპორტაცია მოვხდინეთ იმ ხალხის, ვინც არაღელვარად იმყოფებოდა რუსეთში და ვისაც შესაბამისი დოკუმენტაცია არ ჰქონდა, - განაცხადა სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეებს რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანის განმარტებით, რუსეთის მხარეს სტრასბურგის სასამართლოში ახალი არაფერი უთქვამს.

ჩვენ რუსეთის მხარის არგუმენტების გამაბათილებელი უამრავი მყარი კონტრარგუმენტი გვაქვს, რაც საფუძველი გახ-

დება სარჩელის დასაშვებად ცნობისთვის, - განაცხადა თინა ბურჯალიანმა, რომელმაც ევროპელ მოსამართლეებს კონკრეტული ფაქტებით დაუდასტურა რუსეთის მხრიდან ეთნიკური ქართველების მიზანიმართული დევნა. ქართული მხარე არ უარყოფს, რომ დეპორტირებულ ქართველთა შორის ბევრი მართლაც არაღელვარად იმყოფებოდა რუსეთში, თუმცა, ეს მათ მიმართ განხორციელებული ქსენოფობიური და დისკრიმინაციული ქმედების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო.

საქმეში დევს მასალები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს ეფუძნება. გარდა ამისა, საქმეშია ისეთი რუსი უფლებადამცველების დასკვნებიც, რომლებიც თვითონ რუსეთის ფედერაციაშიც ენდობიან, - განმარტავს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან კოლექტიური დეპორტაცია საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგებოდა.

ორ ქვეყანას შორის საზღვრების დაკეცვა, საფოსტო და საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა ადამიანებს აუცილებელი დახმარების მიღების საშუალება შეუწყვიტა. რუსეთის ფედერაცია მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების შემდეგი მუხლების დარღვევას: კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-18 (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლებში) მუხლებს, აგრეთვე პირველი დამატებითი ოქმის პირველ (საკუთრების უფლება), მე-2 (განათლების უფლება), მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და მე-7 დამატებითი ოქმის პირველ (უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები) მუხლებს, - ნათქვამია საქართველოს მთავრობის სარჩელში.

გარდა იუსტიციის სამინისტროს სარჩელისა, სტრასბურგში ინდივიდუალური განაცხადები გაგზავნილი აქვს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასაც .

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის სოფო ჯაფარიძის თქმით, სახელმწიფო სარჩელის დასაშვებად ცნობის შემდეგ, ევროსასამართლო ინდივიდუალური სარჩელების განხილვას დაიწყებს, რომლებშიც, ფაქტობრივად, იმავე დარღვევებზეა საუბარი, რაზეც სახელმწიფო მიერ გაგზავნილ განაცხადებში.

ჩვენს მიერ სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი განაცხადის ბედი სახელმწიფო სარჩელის განხილვისას მიღებულ გადაწყვეტილებაზე დიდად დამოკიდებული, - აცხადებენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში .

საზოგადოებრივი დამცველის

ანგარიში

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ მიმდინარე მიტინგების მონიტორინგისთვის შექმნილ ჯგუფ საზოგადოებრივმა დამცველის” წევრებმა ბრიფინგი გამართეს და 9 აპრილიდან 15 აპრილს ჩაატარეს, მათ მიერ მოკლული ფაქტები გამოაქვეყნეს.

“საზოგადოებრივმა დამცველმა” დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს კანონდარღვევის 80 ფაქტი აღრიცხა. მათი მონაცემებით, ყველაზე მეტი დარღვევის ფაქტი 9 და 10 აპრილს გამოვლინდა. მომრავლდა თავდასხმები მომიტინგეებზე და მათი ცემის ფაქტები. საზოგადოებრივი დამცველის ინფორმაციით, დაშავებულია 50 ადამიანი მეტი.

“საზოგადოებრივი დამცველის” წარმომადგენელ, ადვოკატ ქეთი ბექაურის ინფორმაციით, 11 აპრილს ორგანიზაციას მოქალაქე ბესო სარჯველაძემ მიმართა, რომელსაც სახელად უცნობი პირები დახვდნენ და სასტიკად სცემეს. დაზარალებულმა თავის არეში დაზიანებები მიიღო. იმავე დღეს, დაახლოებით, 23:00 სა-

ათზე მოქალაქე დავით ჩაჩხიანს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების სამსახურის უნიფორმაში გამოწყობილი რამდენიმე პიროვნება დაესხა თავს და ხელკეტებით სცემეს.

“ასევე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცველები სამარშრუტო ტაქსებსა და სამგზავრო ავტობუსებს თბილისისკენ არ უშვებდნენ. გახშირდა აგრეთვე აქციის მონაწილეებზე ყაჩაღური თავდასხმები, მათი დაშინების ფაქტები. მაგალითად, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე “ვითიბი” ბანკის ფილიალის შესასვლელთან “ახალი მემარჯვენების” წევრი დავით უჯმაჯურიძე სცემეს და საკუთარი ავტომანქანით გაიტაცეს. ოთხი თავდასხმეული ლენდროვერის მარკის ჯიპით იყვნენ და სახე ნიღბებით ჰქონდათ დაფარული, შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღით. ფაქტზე დაწყებულია წინასწარი გამოძიება,” - განაცხადა ქეთი ბექაურმა.

“საზოგადოებრივი დამცველის” წევრთა ინფორმაციით, გამოვლენილ დარღვევებს შორის არსებობს მტკიცებულებები, რომ აქციის მიმ-

დებარე ტერიტორიიდან მოქალაქეებს ძვირადღირებული ავტომობილებით იტაცებენ და ფიზიკურად უსწორდებიან.

მსს-ში და შესაბამის ორგანოებში ვერ ადგენენ, ვის ეკუთვნის ეს მანქანები. მსს-ს პასუხი ხშირ შემთხვევაში ასეთია, რომ აღნიშნული ნომრის მქონე მანქანები დარეგისტრირებული არ არის და შეუძლებელია მასში მსხდომი პირების იდენტიფიკაცია. აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით სამშაბათს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩვენსა და მსს-ს წარმომადგენლებთან შეხვედრას გამართავენ,” - განაცხადეს საზოგადოებრივი დამცველის წარმომადგენლებმა.

დემონსტრაციის მონაწილეებზე ბოლო დღეებში განხორციელებულ თავდასხმის ფაქტებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებმა და აღნიშნა, რომ მომხდარზე გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყო.

დარღვევების შესახებ ჩვენს ვაკქეს გარკვეული ინფორმაცია

და ეს ფაქტების გამოძიებული უნდა იყოს,” - განაცხადა პიტერ სემნებში.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლო დროს თბილისში მომხდარ თავდასხმების შეგნებულად არ იძიებს, თუმცა მას ქუჩებში დაყენებული ვიდეკამერების საშუალებით შეეძლო თავდასხმების რამდენიმე საათში გამოძიება და დამნაშავე პირების დაკავება.

სახალხო დამცველმა ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩაატარა და აჩვენა ჭავჭავაძის გამზირზე არსებული ვიდეოთვალის მიერ გადაღებული კადრები, სადაც ჩანან ის პირები, რომლებმაც “კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას” გენერალური დირექტორს ვახტანგ ლაიძე სცემეს. ფირზე ასევე ჩანს, რომ თავდასხმის ადგილას იმყოფებიან პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც ლაიძის დასახმარებლად არაფერი იღონეს.

საკუთარი ინფორმაცია

ამორფული ინტარვი „კრამლის მტრებისთვის“

უცხოური პრესა მედვედევის საგაზეთო ინტერვიუს შესახებ

უფრო დამოუკიდებელი და ლიბერალური იმიჯის მოპოვების სურვილის მქონე დიმიტრი მედვედევმა რუსული გამოცემებიდან პირველი ინტერვიუსთვის კრემლის მკაცრი კრიტიკოსის რეპუტაციით ცნობილი „ნოვაია გაზეტა“ აირჩია. თუმცა კომენტატორები აღნიშნავენ, რომ მედვედევის პასუხები კონკრეტულად მოკლებული და პოლიტიკურად კორექტული იყო.

მედვედევმა ლიბერალურ გამოცემას მიმანიშნებელი ინტერვიუ მისცა, წერს „ფაინენშალ თაიმის“ ჟურნალისტი ჩარლზ კლოვერი. დიმიტრი მედვედევის მიერ პირველი ინტერვიუსთვის „ნოვაია გაზეტა“ არჩევა, გამომხატავს მის სწრაფვას უფრო დამოუკიდებელი და ლიბერალური იმიჯის მოპოვებისკენ. კლოვერი შეგვახსენებს, რომ „ნოვაია გაზეტა“ ჟურნალისტური გამოძიებებით არის ცნობილი და ამიტომ, რომ გასული ათი წლის განმავლობაში მისი ოთხი ჟურნალისტი (მათ შორის ანა პოლიტოვსკაია) და ადვოკატი სტანისლავ მარკელოვი მოკლეს.

გაზეთთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით, ჩარლზ კლოვერი თავის სტატიაში წერს, რომ „ნოვაია გაზეტა“ იმედოვნებს მსგავსი ინტერვიუს მოპოვებას ბარაკ ობამასთან, ამ ზაფხულს მოსკოვში დაგეგმილი მისი ვიზიტის დროს.

ინტერვიუში მედვედევი ცდილობდა, „ძალოვნებისგან“ დისტანცია დაეჭირა, ლიბერალ-რეფორმატორის როლი გამოვლენის მცდელობისას კი მან სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა და განაცხადა, რომ რუსეთში „იყო, არის და იქნება“ დემოკ-

რატია. გარდა ამისა, ინტერვიუს ფარგლებს მიღმა პრეზიდენტმა მუხრატოვს განუმარტა, თუ რატომ შეაჩერა არჩევანი „ნოვაია გაზეტაზე.“

„თქვენ არასდროს არავის არაფერს ულოკავდით,“ - განაცხადა მან და ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ნებართვით, მის ვებგვერდზე განთავსდა.

რუსეთის პრეზიდენტმა „ნოვაია გაზეტას“ ინტერვიუ მისცა. ეს ფაქტი უკვე თავისთავად ახალი ამბავია, რადგან „ნოვაია“ მრავალი წლის განმავლობაში კრემლს აქტიურად აკრიტიკებდა, - წერს თავის კომენტარში „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ მიმომხილველი შტეფან შოლი და ამბობს, რომ ანტიპატივ ყოველთვის ორმხრივი იყო. თუმცა რაც არ უნდა მწვავე ყოფილიყო კითხვები, აღნიშნავს მიმომხილველი, პრეზიდენტი ცდილობდა, მათზე პირდაპირი პასუხი არ გაეცა, ეს ეხება როგორც ხოდორკოვსკის საქმეს, ასევე სოჭის მერის არჩევნებსაც.

„მედვედევის პასუხები მოკლებული იყო კონკრეტულ შინაარსს. მან, უბრალოდ, ფასადი სხვა ფერად შეღება,“ - აღნიშნა გარი კასპაროვი, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია „სოლიდარობის“ ლიდერი. **„ლამაზი სიტყვები, მაგრამ არავითარი რეალური გზავნილი, - მიიჩნევს პოლიტოლოგი ბორის ტიმოშენკო, - მინიშნება მინიშნებაზე.“**

რუსეთის პრეზიდენტმა „ნოვაია გაზეტას“ თანამფლობელ მიხეილ გორბაჩოვისთვის მიცემული სიტყვა შეასრულა, წერს ლეონარდო კოენი „რეპუბლიკას“ ფურცლებზე. მიხეილ გორბაჩოვი და დიმიტრი მურატოვი,

„ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი, რომლის თანამშრომლებიც იყვნენ ანა პოლიტოვსკაია და ანასტასია ბაბუროვა, აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტ მედვედევთან შეხვედრა აუცილებელი იყო, რათა მისთვის პირადად ეთქვათ, რომ ოპოზიციური პრესისადმი დამოკიდებულება თანდათან აუტანელი ხდება. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ მედვედევი პირველ ინტერვიუს იმ გაზეთს მისცემდა, რომელსაც კრემლთან და მთავრობის ეკონომიკურ კურსთან მიმართებაში ასეთი კრიტიკული პოზიცია უჭირავს, - გაცხადებს გამოთქვამს ლეონარდო კოენი.

ინტერვიუში, რომელმაც მთელი სამი გვერდი დაიკავა (ნამდვილი სენსაცია ახლო წარსულთან შედარებით, როდესაც პუტინი იყო პრეზიდენტი), მედვედევი რუსეთში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ეთიკური კუთხით დაცვის საკითხებს ისე შეეხო, რომ არავითარი კონკრეტული ნინადადება არ ნამოუყენებია, თუ როგორ აპირებს მათ დაცვას. მაგრამ სტატიის ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა თქვა, არამედ ის, თუ როგორი ტონითაა აირჩია. ეს არჩევანი შესაძლებელია შეფასდეს გზავნილად ძალოვნებისთვის: არ ღირს ოპოზიციის დემონიზირება, მათ პატივი უნდა ვცეთ.

როგორც „ვამინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი სარა შაფერი წერს, ლიბერალ-რეფორმატორის იმიჯის შექმნისკენ მიმართულ სხვა ინიციატივებს შორის, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ინტერვიუ მისცა „ნოვაია გაზეტას“, რომელიც ტრადიციულად კრემლის მწვავე

კრიტიკით და ადამიანის უფლებათა დამცველებს, სხვა არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციების შემზღადგი კანონების შეცვლისკენ მონოტონურად გამოდიოდა.

სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა განვითარებაზე მომუშავე ინსტიტუტების საბჭოს წინაშე გამოსვლისას, რომელმაც მოვლანობა სულ ახლახანს განაახლა, მედვედევმა აღიარა, რომ თანამდებობის პირები უფლებათა დამცველებს ხშირად ისე აღიქვამენ, როგორც „საფრთხეს მათი ერთპიროვნული მმართველობისთვის.“ ეს უწვევლოდ მკვეთრი შენიშვნები სულ რამდენიმე დღეში გაფურღდა მას შემდეგ, რაც მედვედევმა ოპოზიციური გამოცემის რედაქტორის კითხვებს უპასუხა. პუტინს, აღნიშნავს შაფერი, მსგავსი შესტები არასდროს გაუკეთებია და ანალიტიკოსები ამ ფაქტის მიზეზად ასახელებენ მედვედევის სურვილს, გაუგზავნოს პოზიტიური მესიჯი რუსეთისა და დასავლეთის ლიბერალებს.

მედვედევი პუტინის პოლიტიკას შორდება, - მიაჩნია „ველტის“ ჟურნალისტი მანფრედ კეირინგს, რომელიც პრეზიდენტის საუბარს „ნოვაია გაზეტას“ რედაქტორთან მოულოდნელ სვლას უწოდებს.

თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, - წერს გერმანელი ჟურნალისტი, - ნიშნავს თუ არა რუსეთის ოპოზიციის პატარა ნაწილთან ურთიერთობის შეცვლა ახალი - უფრო ასატანი და დემოკრატიული ფაზის დასაწყისს. **„მოსკოვის ქუჩებში სრულიად საინააღმდეგო ხდება: ოპოზიციონერებსა და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე თავდასხმები**

გახშირდა: მათ სცემენ ან ხოცავენ.“ გარდა ამისა, განაგრძობს პუბლიკაციის ავტორი, უცნობია, შეძლებს თუ არა მედვედევი არმიისა და სპეცსამსახურების უძლიერეს გავლენასთან გამკლავებას. მისი პასუხები „ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის კითხვებზე, ძირითადად, გაფანტული იყო და ბევრ ინტერპრეტაციას გულისხმობდა.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ცდილობს, დემოკრატიისა და ლიბერალის იმიჯი გაიუმჯობესოს და ამავე დროს აქცენტი გააკეთოს სტილში განსხვავებაზე თავის წინამორბედ პუტინთან, - წერს ესპანური გაზეთი „პაისი.“ კონტრასტი ნათელი იყო ადამიანის უფლებათა დამცველებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზეც, რომელთაგან ბევრი კრემლის პოლიტიკას მკვეთრად აკრიტიკებს. საზოგადოებასთან დიალოგისთვის მზადყოფნა ეკონომიკური მეგობრების გაუარესებით გამოწვეული შიშით არის განპირობებული, - ვარაუდობს გამოცემა.

ნოვაია გაზეტასთან ინტერვიუში მედვედევმა დემოკრატიისკენ მიდრეკილება კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლიტიკურად კორექტული გამოთქმებით, რომლებიც „კონტრასტული იყო რუსულ სინამდვილესთან, სადაც კრემლისგან დამოუკიდებელი აქტივისტებისთვის პოლიტიკური ცხოვრება მიუწვდომელია, ხოლო სასამართლოსა და ინსტიტუტებზე ხელისუფლების უმაღლესი ემელონების მხრიდან კულისებს მიღმა ზენოლა ხორციელდება,“ - აღნიშნავს პილარ ბონეტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესწავლაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ინფორმაციის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) განვითარების საინფორმაციო-ტექნოლოგიური კონცეფციის შემუშავება

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს რეზერვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ინფორმაციის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) განვითარების საინფორმაციო-ტექნოლოგიური კონცეფციის შემუშავების შესახებზე.
- ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ინფორმაციის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) განვითარების საინფორმაციო-ტექნოლოგიური კონცეფციის შემუშავების წარმოება და საბოლოო პროდუქტის შექმნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 კვირის განმავლობაში.
- პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დასურთულ კონკურენტში 2009 წლის 13 მაისის 9⁰⁰ სთ-მდე, 14⁰⁰ სთ-მდე. მე-18 პუნქტში მოითხოვება მისამართზე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირებისათვის:
 - ცნობა საჯარო სამართლის ორგანიზაციის, რომლის მიზართან არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან დიკლინაცია;
 - ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ;
 - ამონაწერი საქმეწარმის რეესტრიდან.
 - ფიზიკური პირებისათვის:
 - ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
 - ცნობა სასამართლოდან, რომლის მიზართან არ მიმდინარეობს გაკაცრების საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
 - პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, რეგისტრაციის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
 - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეესტრირებული შესყიდვების მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
 - ცნობა საჯარო სამართლის ორგანიზაციის ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შესყიდვების არ არსებობის შესახებ;
- სატენდერო წინადადების უსრუენველიობის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უსრუენველიობის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
- სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0,45

2	გამოცდილება	0,30
3	მომსახურების გაწევის ვადები	0,15
4	ანგარიშსწორების პირობები	0,10
სულ:		1,00

- სატენდერო წინადადებები არ წიფილება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგინდულ ვადებში არ წარმოადგინს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელსაც მოთვანი ვადის აღმთხნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- თუ წინადადება შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვა, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები საჯაროდებულ იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლებელია (მე-16 პუნქტში აღნიშნული მისაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 21 აპრილის 09⁰⁰ სთ-დან 2009 წლის 11 მაისის 18⁰⁰ სთ-მდე, შემდეგ მისამართზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, სატენდერო კომისიის აპარტში.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე შესყიდვებულ ორგანიზაციას გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 13 მაისს 14⁰⁰ სთ-ზე.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უსრუენველიობის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
- შერჩევის დროს შემდგომ დასუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
- აღკერნაიყოფილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მისაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მომდები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
 ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
 გადახდის დანიშნულება – სატენდერო მისაკრებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ინფორმაციის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) განვითარების საინფორმაციო-ტექნოლოგიური კონცეფციის შემუშავება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და წარადგინოს გადახდის დამდასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომისიის აპარტში ქვემოთ მოთხოვნილ მისამართზე.
 ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარტში ქ. თბილისი, ვ. გორგასლის №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9 ტელ. - ფაქსი: (+995 32) 261-337, საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თეოდორაძე, ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge.

ჩინეთში კონტრაქტორისტული ოპერაციის რეჟიმი გაუქმდა

ივანე ჯორჯაძე

რუსეთის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის (ეაკ) ცნობით, 16 აპრილიდან გაუქმდა კონტრაქტორისტული ოპერაციის რეჟიმი, რომელიც ჩინეთში ბოლო 10 წლის განმავლობაში, ე.წ. მეორე ომის დასაწყისიდან მოქმედებდა. ის 1999 წელს რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებით შემოიღეს. მას წინ უძღოდა ჩინეთის ბოვიკების თავდასხმა დალესტანზე. აქტიური მსხვილმასშტაბიანი საომარი მოქმედებები ორ წელიწადს მიმდინარეობდა, ამ პერიოდში ფედერალურმა ძალებმა ჩინეთის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლი დაამყარეს, შემდეგ უკვე უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერაციები დაიწყო. ცხადია, ამ ოპერაციებში არმიაც მონაწილეობდა.

რეჟიმის გაუქმების საკითხი ჩინეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა მარტის ბოლოს დააყენა და მას აქტიურად ლობირებდა. კადიროვის აზრით, რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ თვითონ გააკონტროლონ სიტუაცია და ებრძოლონ ბანდიტური ჯგუფების მცირერიცხოვან ნარჩენებს. თუმცა კადიროვს ვინმეს დასარწმუნებლად დიდხანს მუშაობა არ დასჭირვებია. პრეზიდენტ დემეტრი მედვედევის დავალებით რეჟიმი გააუქმა ეაკ-ის თავმჯდომარემ, უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა. ეაკ-ის განცხადებით, ამიერიდან ტერორიზმთან ბრძოლა ჩვეულებრივი წესით



AFP - 2009

გაგრძელდება, ისევე როგორც სხვა რეგიონებში.

როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების აზრით, ანტიტერორისტული რეჟიმის გაუქმება ხელს შეუწყობს ჩინეთში ეკონომიკურ წინსვლას და უცხოური ინვესტიციების დაბანდებას. გროზნოს აეროპორტში უკვე დათავრდა საბაჟო პუნქტის მშენებლობა და კადიროვი მიიჩნევს, რომ აეროპორტმა საერთაშორისო სტატუსი უნდა მიიღოს.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ამ რეჟიმის გაუქმებამდე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ბორის გრიზლოვმა განაცხადა, რომ ანტიტერორისტული ოპერაციის დიდი ძალა და სახსრები სჭირდება. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ფინანსურმა კრიზისმა დააჩქარა.

ანტიტერორისტული ოპერაციის რეჟიმის გაუქმების შემდეგ ჩინეთიდან ნელ-ნელა გავა შინაგანი ჯარების ყველა ის დანაყოფი, რომელიც იქ დროებითი სტატუსით არის შეყვანილი - დაახლოებით, 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ეს არ შეეხება შინაგანი ჯარების 46-ე ბრიგადას და თავდაცვის სამინისტროს 42-ე მოტომსროლელ დივიზიას, რომლებსაც ჩინეთში მუდმივი დისლოკაციის ადგილია. გარდა ჯარების სიმრავლისა, ანტიტერორისტული რეჟიმი გულისხმობდა კომენდანტის საათის არსებობას, მრავალრიცხოვან ბლოკ-პოსტებს, ჩხრკის ჩატარებისა და ადამიანების დაკავების გამარტივებულ წესს. ზოგიერთი ეს ელემენტი შეიძლება შენარჩუნდეს კიდევ, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული

პერიოდით მაინც. ტერორისტების აქტიურობამ ჩინეთში ბოლო პერიოდში საგრძნობლად იკლო, თუმცა ისინი არც ისე ცოტანი არიან, როგორც ამას კადიროვი აცხადებს. ჩინეთის პრეზიდენტი, დაახლოებით, 70 ბოვიკს ვარაუდობს, სპეცსამაზურების აზრით კი, მათი რიცხვი, სულ ცოტა, 500 მაინც არის.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ამ გადაწყვეტილებას, ძირითადად, დადებითად აფასებენ, თუმცა მის მიზნულებზეც საუბრობენ. საზოგადოება "მემორიალის" წარმომადგენლების აზრით, კონტრაქტორისტული რეჟიმის შემოღების შემდეგ ხელოვნურად შეიქმნა სამართლებრივი ვაკუუმის ზონა. ამ პერიოდში, მათი შეფასებით, ჩინეთში უკვალოდ გაქრა 3-დან 5 ათასამდე ადამიანი. მოძრაობა "ადამიანის უფლებებისთვის" ლიდერ ლევ პონომაროვის აზრით, ანტიტერორისტული ოპერაციის, ერთი მხრივ, გაუქმება კარგია, რადგან ამ რეჟიმის დროს ირრვევა ადამიანის უფლებები და არ კონტროლდება ძალადგანი სტრუქტურების საქმიანობა, თუმცა, მეორე მხრივ, ფედერალური ძალების გასვლის შემდეგ ველარავინ შეაჩერებს ჩინეთის სამართალდამცავებს. ცნობილია, რომ ზოგიერთი შენაერთი შიდა განკარგულებით მოქმედებს და არა კანონებით.

რამზან კადიროვი აპირებს, "ტერორისტებთან ომის დამთავრების დღე" - 16 აპრილი დღესასწაულად გამოაცხადოს, რომელსაც ყოველ წელს აღნიშნავენ.

ინდოეთში საპარლამენტო არჩევნები დაიწყო

მარიკა იაზვილი

ინდოეთში მე-15 საპარლამენტო არჩევნების პირველმა ტურმა სტარტი აიღო. 13 მაისამდე ქვეყანაში არჩევნების კიდევ ოთხი ტური ჩატარდება. საერთო ჯამში ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობას 124 საარჩევნო ოლქის 700 მილიონზე მეტი მცხოვრები მიიღებს. ხმების დათვლის პროცესი 16 მაისს შედგება, ახალი პარლამენტის პირველი სხდომა კი 2 ივნისს გაიმართება.

ქვეყნის მმართველ კოალიციას, რომელსაც სათავეში ინდოეთის ეროვნული კონგრესი უდგას, მნიშვნელოვან კონკურენტს უწევს ოპოზიციური ბლოკი "ხანარატი ვანატი პარტის" მეთაურობით. საკმაოდ ძლიერია კომუნისტური ოპოზიცია და რეგიონული პარტიებიც.

ქვეყანაში 800 ათასზე მეტი საარჩევნო პუნქტი და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი 1.1 მილიონზე მეტი ელექტ-

რონული აპარატი იმუშავებს. იმის გამო, რომ ინდოეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცის, ხმას ისინი თავისი პარტიის ბეჭდის დასმით მისცემენ: გაშლილი ხელისუფლი მმართველი კოალიციის სიმბოლოა, ხოლო ლოტოსის ყვავილი - ოპოზიციური კოალიციისა.

არჩევნების დროს წესრიგის დაცვაზე ორი მილიონი პოლიციელი იზრუნებს. უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებულად მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მაისისტმა მემამბოხებმა სამართალდამცავებზე რამდენიმე თავდასხმა განახორციელეს და განაცხადეს, რომ არჩევნებს ჩაშლიან.

არჩევნების დაწყებამდე პრემიერ-მინისტრობის ორი მთავარი კანდიდატი - მთავრობის ამჟამინდელი მეთაური მანმოჰან სინგხი და "ხანარატი ვანატი პარტის" ლიდერი ლალ კრიშან ადვანი ამომრჩეველთა წინაშე გამოვიდნენ. სინგხმა თანამემამულეებს მოუწოდა, ხმა მისცენ ერთადერთ ეროვნულ პარტიას, რომე-

ლიც მთელ ქვეყანას წარმოადგენს. ადვანი კი ხელისუფლება ისლამისტი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სისუსტის გამოჩენაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ თუ ასე გაგრძელდება, თალიბები მალე ქვეყნის საზღვრებს მოუახლოვდებიან.

ორივე ლიდერი ასაკოვანია - სინგხი 76 წლისაა, ადვანი 81-ის. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მიმართ გარკვეულ შენიშვნებს გამოთქვამენ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საკმაოდ მშვიდობიანად იქცევიან. აი, ვარუნ განდი, ინდოი განდის შვილიშვილი კი ინდუსთა ხმების მოპოვებას ზედმეტად აქტიურად ცდილობდა: მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ ხელს მოაჭრიდა ყველას, ვინც ინდუსებისთვის ზიანის მიყენებას გაუბედა და შედეგად ციხეშიც მოხვდა - რელიგიური შუღლის გაღვივების ბრალდებით.

პრემიერის პოსტზე შესაძლო კანდიდატად რაჰულ განდიც მიიჩნევა, რაჯივ და სონი განდების შვილი, რომელიც ამ-

ჟამად მმართველი კოალიციის თავმჯდომარეა. რაჰულა მიტინგებზე ხალხის უშეველებელ მასას კრებს და სოფლებში სილარობესთან ბრძოლას ჰპირდება.

მოსალოდნელია, რომ ორი ძირითადი პარტიიდან გამარჯვებისთვის საკმარის ხმათა უმრავლესობას ვერც ერთი ვერ მოაგროვებს. მთავრობაში მოსასვლელად მათ პატარა პარტიების მხარდაჭერა დასჭირდება.

არჩევნების პირველივე დღეს მაისისტმა მემამბოხებმა ქვეყნის აღმოსავლეთით, ჯარკანდის შტატში, სისხლიანი ტერაქტი მოაწყვეს, რასაც ექვსი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ოთხშაბათს ბოვიკებმა უსაფრთხოების ძალების ქვედაყოვებასა და სამართალდამცავ ორგანოებზე ერთდორულად ორი თავდასხმა განახორციელეს. დჰანას ველზე ტერორისტები მესაზღვრეთა ბანაკში შეიჭრნენ და ერთი სამხედრო მოსამსახურე დაჭრეს. იმავე დღეს ქალაქ ლატეჰარის ახლოს მაის-

ტებმა ავტობუსი ააფეთქეს, რომელსაც სამხედრო პოლიციის რაზმი გადაჰყავდა.

თავდასხმებზე პასუხისმგებელნი არიან ნაქსალიტები - კომუნისტური დაჯგუფება, რომელმაც სახელი იმ სოფლის სახელწოდების მიხედვით მიიღო, სადაც 30 წლის წინათ ეს რადიკალური მოძრაობა ჩამოყალიბდა. მაისისტმა ბოვიკებმა ინდოეთში ტერაქტების განხორციელება 1960-იანი წლებიდან დაიწყეს და მას შემდეგ 6 000-ზე მეტი ადამიანი მოკლეს.

ინდოეთში მაისისტური კომპარტიის 9.3 ათასი აქტიური წევრია აღრიცხული, რომლებიც ქვეყნის 29 შტატისა და ცხრაში მოღვაწეობენ. ისინი იარაღის მოპოვების მიზნით პოლიციის განყოფილებებს ესხმებიან თავს, დევნიან მათთვის მიუღებელ პოლიტიკოსებს და მსხვილ მინათმფლობელებს. მათივე სიტყვებით, ისინი ღარიბებისა და უშიშანსყოლ გლეხების უფლებებს იცავენ.

მოლდოვაში მოსტსარავენო სიებ-სხელება ბრძოლა

ივანე ჯორჯაძე

გუშინინ მოლდოვის პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში ვრცლად ისაუბრა ქვეყანაში არჩევნების შემდგომ შექმნილ დაძაბულ სიტუაციაზე. სცადა მათარახისა და თავლაკერის პრინციპის გამოყენებაც, მაგრამ მის საერთო შურობებულ განწყობას და რადიკალურ მიდგომას ოპოზიციისა და რუმინეთის მიმართ, ჯერჯერობით ცვლილების არანაირი ნიშანი არ ეტყობა.

ვორონინმა მოუწოდა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, განახორციელონ საერთო ამნისტია და შეწყვიტონ საპროტესტო აქციების მონაწილეთა ყოველგვარი დევნა, თუმცა იქვე დაამატა, რომ ციხეებში დარჩენილი კრიმინალური სამყაროს ის წარმომადგენლები და რეკიდვისტები,

რომლებმაც ბოროტად ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობით. მოლდოვას პრეზიდენტი ისევ ცდილობს, არეულობებზე პასუხისმგებლობა მთავარ პოლიტიკურ კონკურენტებს - ლიბერალურ ოპოზიციას დააკისროს, გამოიყენოს აკრძალული იდეით და ისინი ანტისახელმწიფოებრივ ძალად წარმოაჩინოს. რუმინეთს ისევ აბრალებს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. ის კატეგორიულად ვერ აღიქვამს რუმინეთს მოძმე ქვეყნად და ურთიერთობების დალაგებას, დაახლოებით, უკრაინა-პოლონეთის დონეზე სთავაზობს (?). თუმცა ვორონინის გამოსვლისა და საერთოდ მისი პოზიციის განხილვა ცალკე თემაა და მას ჩვენს შემდეგ მიმოხილვებში ისევ დაუბრუნდებით.

ჯერჯერობით საშინაო პატიმრობაში რჩება უურნალისტი ნატალია მორაროვი, რომელიც 7 აპრილის საპროტესტო გამოს-

ვლის მთავარ ორგანიზატორად მიიჩნევა. მოლდოვას უკრაინამ გადასცა ბიზნესმენი გაბრიელ სტატი და მისი თანმხლები პირი აურენ მარინესკო, რომლებიც რამდენიმე დღის წინ მოლდოვის მოთხოვნით ოდესაში დააკავეს. გაბრიელ სტატის მოლდოვის კომუნისტური ხელისუფლება გამოსვლების ერთ-ერთ მთავარ დამოწმებლად მიიჩნევა. გაბრიელ სტატის მამამ, მილიარდერმა ანატოლ სტატიმ (ის რუმინეთში ცხოვრობს) უკრაინას სთხოვა, არ გადაეცათ მოლდოვისთვის მისი შვილი სიტუაციის ძირფესვიანად გამოკვლევამდე. სტატების ოჯახი მიიჩნევს, რომ ვორონინი სიტუაციით სარგებლობს და მათი ბიზნესის შევიწროებას ცდილობს. სტატის გადაცემა ვერ არ დაუდასტურებიათ მოლდოვის შესაბამის ორგანოებს.

საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში დამთავრებს ხმათა გა-

დათვლას, რისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლომ მათ ცხრა დღე მისცა. შეიძლება სააღდგომო უქმეებმა ორი-სამი დღით გადასწიოს არჩევნების საბოლოო შედეგის გამოცხადება.

პარალელურად, წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიებმა (ლიბერალური პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და ალიანსი "ჩვენი მოლდოვა"), წარმოადგინეს უამრავი დარღვევა საარჩევნო სიებშიც და ხმის მიცემის დროსაც სხვადასხვა რეგიონებში (კარუსელეები, ყალბი პასპორტები). ეს მხოლოდ კვლევის პატარა ნაწილია და ოპოზიცია მოითხოვს, მათ მთელი სიების შემოწმების უფლება მისცენ. ამას მათ ხელისუფლება სასამართლოს საშუალებით (!) უკრძალავს. ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების გამოთვლით სიებში, სულ ცოტა, 400 ათასი ზედმეტი პირია შეყვანილი და ეს ციფრი ამომრჩეველთა საერთო რაოდენო-

ბის ათპროცენტზე მეტია. ისინი დარწმუნებული არიან, რომ კვლევის ბოლომდე მიყვანის შემთხვევაში აუცილებლად მიაღწევენ არჩევნების შედეგების გაუქმებას.

მოლდოვაში სიტუაციის დალაგებაზე და ეროვნული თანხმობის აღდგენაზე ზრუნვა უკვე ევროკავშირმა და ევროსაბჭომაც დაიწყეს. ევროკავშირის წარმომადგენელი კლემან მიუიე ვორონინს შეხვდა და, ფაქტობრივად, შუამავლობა შესთავაზა ოპოზიციასთან. ევროსაბჭო ქვეყნის მდგომარეობაზე სპეციალური მოხსენების გასაკეთებლად დემოკრატისა და პოლიტიკურ საკითხებში გენერალურ დირექტორ ფან ლუი ლორანს გზავნის. გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა განაცხადა, რომ მოლოდინად წინააღმდეგობრივი ინფორმაცია მოდის და მათ ამოთვლით მასობრივი დაპატიმრებებისა და მედიის შეზღუდვის შესახებ არსებული ცნობები.

რევოლუ



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

Final Fantasy ბრუნდება

ლეგენდარული თამაშის ახალი ნაწილი წლის დასასრულს გამოვა

ადრე გამოცხადებული 2010 წლის ნაცვლად საკულტო თამაში Final Fantasy-ის მეცამეტე სერია მიმდინარე წლის ზამთარში გამოვა. ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც თამაშის დემო ვერსია გამოვიდა, რომლის კრედიტებშიც სწორედ ეს თარიღია მითითებული. დემო ვერსია კი PlayStation 3-ის ბლუ რეიზე გამოსულ ფილმ Final Fantasy VII: Advent Children Complete-ს ახლავს. როგორც ჩანს, კომპანია Square Enix-ს თამაშის გამოშვება საშობაოდ აქვს დაგეგმილი.

Final Fantasy XIII-ის გამოსვლის დაგვიანების მიზეზად ადრე ამავე კომპანიის კიდევ ერთი ცნობილი თამაშის, Dragon Quest IX-ის დაუსრულებლობა სახელდება. თუმცა დეველოპერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თამაშის თავყანისმცემლები მალე გაეხარებინათ.

თამაში ტრადიციულ RPG-ს უანრისაა. მისი მთავარი გმირია გოგონა სახელად ლაითინგი. იგი



რასა ფალსიეს წარმომადგენელია, რომელიც სიუჟეტის თანახმად ჯერ

კიდევ კაცობრიობის გაჩენამდე არსებობდა. ამ რასის წარმომადგენ-

ლებს მისია აქვთ - ადამიანების ჯერ არარსებული რასისთვის სამოთხე უნდა შექმნან, რითვისაც უზარმაზარი ქალაქი კოკონი ააშენეს. ქალაქი ჰაერში ლივლივებს, მის მოსახლეობაში კი გაჩნდა შიში, რომ ოდესმე ქალაქი დაბლა ჩამოვარდება. ლაითინგი კი ზეციური ძალების მიერ შექმნილი მეომარი ქალია, რომელიც ადამიანებს უნდა შეებრძოლოს და კოკონის არსებობას ნერტილი დაუსვას.

Final Fantasy 80-იანი წლების ბოლოს შექმნილი ბრენდია, რომელიც თავიდან ვიდრე თამაშებისთვის შეიქმნა, მოგვიანებით კი ძალიან ცნობილი ანიმეებისა და სრულმეტრაჟიანი 3D ფილმების საფუძვლად იქცა. დღემდე აღიარებულია, რომ Final Fantasy თამაშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და შემოსავლიანია. ამ დროისთვის სულ გაყიდულია მისი 85 მილიონი ასლი.

თამაშის სახელწოდება საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში გაჩნდა. 80-იანი წლების ბოლოს კომპანია

Square ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა და ლიკვიდაციისთვისაც იყო მზად. კომპანიის მთავარმა დიზაინერმა ჰირონობუ სიკაგუტიმ კი ბოლო პროექტზე წამოიწყო მუშაობა და სახელადაც შესაბამისად უკანასკნელი ფანტაზია დაარქვა. თუმცა მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რამ - თამაში მომხმარებელს მოეწონა, მაშინვე გახდა პოპულარული და კომპანიასაც დიდი მოგება მოუტანა.

თამაში უნიკალურია იმ მხრივ, რომ მისი დეველოპერები სრულიად ახალ სამყაროს ქმნიან - რასებით, რელიგიებით, ენითა და კულტურით. ყოველი მომდევნო სერია წინა ნაწილის სიუჟეტურ გაგრძელებას წარმოადგენს. ამის გამო თავიდან შექმნილი სამყარო მოთამაშის თვალწინ ვითარდება, იზრდება და ძლიერდება. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სერიის პერსონაჟები ერთმანეთს სხვა ნაწილში ხვდებიან და ან ერთმანეთს ებრძვიან ან რომელიმე სხვა ძალის წინააღმდეგ ერთიანდებიან.

კომენტარები მთავარზე



მომავლის მიტინგი

ლაშა ბაღაძე

თქვენის ნებართვით, მომავლის მიტინგებს მინდა, გავეთამაშო.

მოდით, ერთად გადავხედოთ მომავალი ხუთწლიულების, ათწლიულების და ოცწლიულების საპროტესტო ლოზუნგებსა და შეძახილებს...

მაგალითად, მომავლის მიტინგზე მკაფიოდ ვხედავ შემდეგნაირ ლოზუნგს:

"ძირს ბესელიას კრიმინალური ბანდები! გავათავისუფლოთ უმიშროება ბესელიას, გუნცადის და კუკავას კლანჭებისგან!"

ვხედავ, ასევე, ოპოზიციონერ სააკაშვილსაც, ავლაბრის რეზიდენციის ჭიშკართან... და მისი ხმაც კი მესმის: "თვითმარქვია პრეზიდენტმა გუბაზ სანიკიძემ მილიარდ იაპონურ იენად შეფასებული შუშის მეოთხე სართული დაადგა ამ შენობას... და ეს მაშინ, როცა ხალხს შია, როცა ქართველი ერი მიტინგზე დგას... მანვე ჩამოიყვანა თავისი კერძო დირიჟაბლით რუსი დიეტოლოგი და მემასაჟე რასია... ცნობილი, აგრეთვე, თავისი პუტანოიდური ვნებებით... და ეს მაშინ, როცა ხალხს შია, როცა ხალხი მიტინგზე დგას! უნდა პრეზიდენტ სანიკიძეს რევოლუცია? მაშინ ის მიიღებს რევოლუციას!"

ვხედავ ასეთ ლოზუნგსაც: "ძირს ხელისუფლების ჯიბის ტელევიზიები - "კავკასია" და "მაესტრო"! აქუბარდია, რატომ ემალები ხალხს? რატომ უჭერ მხარს "ქართული აკადემიის" ვაი-რეფორმას?"

მომავლიდან ჩამესმის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას ლაღადისი: "ჩვენ ამით არ უნდა ვაპატიოთ კასპის ინციდენტი (ჯერ არ ვიცით, ეს რა ინციდენტია, შემდეგ წლებში გავიგებთ - ლ. ბ.), სანიკიძემ ომში ჩაგვითრია რუსეთთან და სამარცხვინოდ დაგვაკარგვინა "ქვემო აფხაზეთი"!"

ვხედავ გენერალურ პროკურორ გუგული მალარაძესაც.

"ჩვენ უახლოეს მომავალში დავდებთ ფარულ ჩანაწერებს, - იტყვის ქალბატონი გუგული, - ვინ ვის ხვდება და რა გარიგებებში შედის... ოპოზიციონერი პეტრე ცისკარიშვილი თუნდაც... ეს კაცი გუშინ მთელი ღამის განმავლობაში ეცეკვებოდა რუსეთის და ბელორუსიის ორმაგ აგენტს, ცნობილ ფსევდონიმით: ანჟელა-ტრიცატ-ტრი. დაიდება, ხალხო, ეს ყველაფერი და მერე თავად გამოიტანოს საზოგადოებამ დასკვა!"

ვხედავ ასეთ ლოზუნგსაც: "გუბაზ სანიკიძის მთავრობას და თანასწორობის ინსტიტუტებს პატრიარქის მონაწილე უნდათ!"

იქვე მესმის ნინო ბურჯანაძის ხმა: "ხალხო, მე უკვე მერვედ ვიყავი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ ვერცერთხელ ვერ დაგიცავით... ამიტომ ღირსი ვარ ამ სტვენის! დამისტივით! მაგრამ პირობას ვაძლევ თითოეულ თქვენგანს... (უსტვენენ - ლ. ბ.) თითოეულ... (უყვირიან - ლ. ბ.) ბატონო? არ მესმის... (ისევ უყვირიან - ლ. ბ.) როგორ?... ბადრის გავმორდებ?... ბატონ ბადრის?... კი ბატონო, მაგრამ... (სასწარკვეთილია) ვის გავყვი, ვის?!"

და ვხედავ, ცხადია, ჩემს ხალხს, ჩემს ჯიუტ ხალხს, უწყვეტ მიტინგზე მდგომს გაუნძრევლად... მომავლის მიტინგოსნებს, ოცდამეორე, ოცდამესამე, ოცდამეოთხე საუკუნის უცვლელ ქართველ დემონსტრანტებს!

ქურდიანების ფანიკულიორი

თამარ ქიქნაველიძე

ეს წერილი ზაქარია (შაქრო) და ნადეჟდა ქურდიანებს ეძღვნება. ამ წელს მათ დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდათ. ჩვენ ვიხსენებთ ადამიანებს, რომელთა მიერ განვლილი ცხოვრება მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორია არ გახლავთ.

ქურდიანების გვარი თბილისის დინამოს სტადიონთან და ფუნიკულიორთან ასოცირდება; პირველის მშენებლობა არჩილ ქურდიანის სახელს უკავშირდება (მოგვიანებით მას შვილი - გია ქურდიანი შეუერთდა), მეორესი - ზაქარია ქურდიანს. არჩილი ზაქარიას ბიძაშვილი იყო. მათ წარმატებულ საქმიანობას მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალს. ყველამ იცოდა, რომ ქურდიანები პროფესიონალი არქიტექტორები იყვნენ და მნიშვნელოვან პროექტებს ხელმძღვანელობდნენ. 1936 წელს ქალაქის მთავარი არქიტექტორის თანამდებობა დაწესდა. თბილისის პირველი მთავარი არქიტექტორი არჩილ ქურდიანი იყო, 1944 წლიდან კი - ზაქარია ქურდიანი, რომელიც მას 1955 წლამდე უძღვებოდა. ამ ხნის განმავლობაში, სწორედ ქურდიანების ხელში იყო თბილისის განაშენიანება, კეთილმოწყობა, რეკონსტრუქცია თუ დაგეგმარება.

ზაქარია (შაქრო) ქურდიანს რაც შეეხება, ის ძალიან ახალგაზრდა იყო, როდესაც თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის დარეგულირება დაევალა. მისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა პროექტი, რომელზეც მეუღლესთან, ნადეჟდა ხმელნიცკაიასთან ერთად იმუშავა, რომელსაც მისი ოჯახის თითოეულმა წევრმა საკუთარი შრომა და სიყვარული შეაღია. ჩვენი რესპოდენტია ლამა ქურდიანი, რომელმაც მშობლების შესახებ ბევრი რამ გაიხსენა.

მამაჩემი ზაქარია (შაქრო) ქურდიანი არქიტექტორი იყო, ძალიან ნიჭიერი და ლამაზი. 26 წლის არქიტექტორის თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის დარეგულირება დაევალა. ამის გამო, მამა ხარკოვში წავიდა, სადაც დიდი გამოცდილების მქონე სამრეწველო ინსტიტუტი ფუნქციონირებდა. იქ მამამ ახალგაზრდა, ნიჭიერი და ძალიან ლამაზი ლენინგრადელი არქიტექტორი - ნადეჟდა ხმელნიცკაია გაიცნო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ნადეჟდა გათხოვილი იყო და პატარა შვილი ჰყავდა. მამაჩემმა მას ისე აუბნია ტვინი, რომ დედაჩემმა ქმარი მიატოვა და მამას თბილისში შვილითა და მშობლებით გამოჰყვა. შაქრო ქურდიანი საოცნებო სიძე იყო - ლამაზი, ტანადი, ჭკვიანი, ნიჭიერი და კარგი ოჯახიშვილი. როცა ეს ამბავი მისმა მშობლებმა გაიგეს, შეწუხდნენ და გაჯავრდნენ, რადგან არ უნდოდათ მამას არაქართველი, გათხოვილი და შვილიანი ცოლი შეერთო... ბებია მიყვებოდა: პირველად რომ დავიხსენებ ნადია, ის ისეთი ლამაზი იყო, რომ გავიფიქრე, ამ ქალის არ შეყვარება როგორ შეიძლებოდა-მეთქი... იმ დღიდან ნადეჟდა ხმელნიცკაია ქურდიანების საყვარელი რძალი გახდა".

- გვიამბო ქ-მა ლამამ. ის პროფესიით მხატვარ-დიზაინერია, ცხოვრობს შვილების (ლადო და ნატა), შვილიშვილების (ქეთა და ნუცა ბუაჩიძეები, ჯოანა-ელე-



ნა-სონია ჩეთვინი, ილია რამიშვილი), შვილთაშვილის (ლამა თაბუკაშვილი) გარემოცვაში და სევდანარევი სიხარულით იხსენებს დროს, როცა მისი მშობლები საყვარელ საქმეს ემსახურებოდნენ.

ყველაფერი 1930-იან წლებში დაიწყო, საქართველოს მთავრობამ მთაწმინდაზე შენობის აგება და პარკის მოწყობა გადაწყვიტა. ის უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც თბილისელები დაისვენებდნენ, რესტორნით ისარგებლებდნენ და ჩამოსულ სტუმრებს მიიღებდნენ. ცნობილია, რომ თავდაპირველად ამ ჩანაფიქრის განხორციელება მოსკოველ არქიტექტორს - გინზბურგს დაავალეს, მაგრამ მთავრობამ მისი პროექტი დაიწუნა, გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც ზაქარიამ და ნადეჟდამ გაიმარჯვეს.

ჩემი მშობლები დღე და ღამე მუშაობდნენ... მშენებლობას ლავრენტი ბერია კურირებდა. ერთხელაც, მთაზე ასვლისას, მან სამშენებლო ხარაჩოვებზე ფეხმძიმე ქალი დაინახა და ძალიან გაჯავრდა, ორსულ მუშას აქრა უნდაო... მაგრამ როდესაც მოახსენეს, რომ ეს ქალი ავტორი იყო, გაჩუმდა... დედა ჩემზე იყო ორსულად. მე ხშირად მითქვამს, რომ არ ვიცი ვინ არის ჩემთვის ფუნიკულიორი - ძმა თუ ძაღვი, მაგრამ მე ნამდვილად დავარ მისი, ჩვენ ერთად ვიზრდებოდით...". - სიამაყით აღნიშნა ქ-მა ლამამ. გასულ წელს მას, ისევე როგორც ფუნიკულიორს, 70 წელი შეუსრულდა.

საბოლოოდ, ცოლ-ქმრის ნახელავი ყველას მოეწონა და ფუნიკულიორი თბილისის საეიზიტო ბარათად იქცა. ჩემი აზრით, არჩილ და შაქრო ქურდიანები 1937 წლის რეპრესიებს იმიტომ გადაურჩნენ, რომ არჩილი სტადიონის არქიტექტორი იყო, ხოლო შაქრო - ფუნიკულიორის, დასძენს მათი შთამომავალი.

ფუნიკულიორის რესტავრაცია 1970-იან წლებში დაიწყო. სამუშაოებში ქ-ნი ლამას ძმა, ალიკო ქურდიანი ჩაერთო და მშობლების თანაავტორი გახდა. ფუნიკულიორის მეორე რეკონსტრუქცია 1980-იან წლებს უკავშირდება. მისი რემონტისა და მხატვრული გაფორმების სა-

ბაბი ბრეჟნევის თბილისში ჩამოსვლა გახდა. მაშინ უკვე მეც ჩავერთე სარეკონსტრუქციო სამუშაოებში. დედა ცოცხალი აღარ იყო. მამა ავადმყოფობდა, მაგრამ ზევით ამოსვლას მაინც ახერხებდა. ალიკო რეკონსტრუქციის მთავარი არქიტექტორი იყო, მე - მთავარი მხატვარი. მამას ცრემლიანი, მაგრამ ბედნიერი თვალები არასოდეს დამავიწყებდა, - იხსენებს ქ-ნი ლამა. ჩვენმა რესპოდენტმა თავის სახელთან დაკავშირებით მოგვიყვა: ჩემი ნამდვილი სახელია ლამარა. ამ სახელს ვერ ვიტან. ის დედამ დამარქვა. სამხატვრო აკადემიაში სწავლისას, გასულითი გაკვეთილები ხშირად ზოოპარკში გვიტარებოდა, სადაც ცხოველებს ვხატავდით. იმ გალიაზე, რომელშიც ლამა ცხოვრობდა, ეკიდა აბრა წარწერით ლამა", რომელსაც ქვემოთ მიწერილი ჰქონდა - ქურდიანი". ამას ჩემი თანაკურსელები და მეგობრები, კოკა იგნატოვი და მამია მალაზონია სჩადიდნენ".

კოკა იგნატოვის ცნობილი პანო სწორედ ფუნიკულიორისთვის შეიქმნა. ამ საქმეშიც ქურდიანებს მიუძღვით წვლილი. როგორც ქ-ნი ლამა აღნიშნავს, 1960-იან წლებში ზაქარია ქურდიანს ფუნიკულიორის ერთ-ერთი საბანკეტო დარბაზის მოხატვის სურვილი გაუჩნდა. შეიღებმა მას ამ სამუშაოს შესასრულებლად კოკა იგნატოვი ურჩიეს, რომლის მოწოდებით ნამუშევრები უკვე ცნობილი იყო. საზოგადოებამ გაიგო თუ არა, რომ კედელი კოკას უნდა მოეხატა, მამას ეუბნებოდნენ, შაქრო რას შეგები, ის ხომ ძალიან ახალგაზრდაა... მამა კი პასუხობდა, მე და ჩემი ცოლიც 27 წლისანი ვიყავით ფუნიკულიორს რომ ვაშენებდითო...". - გაიხსენა ლამა ქურდიანმა.

ქურდიანების ოჯახს და ცნობილ პანოზე მუშაობის დაწყებას კოკა იგნატოვი ასე იხსენებდა: დასაწყისი ფრესკისა - ფიროსმანის მონატრება" - ჩვეულებრივი იყო: მოვიდა ჩემთან ერთი ახლობელი ოჯახის წევრი ალიკო ქურდიანი; ქურდიანები საინტერესო ოჯახია თავისთავად, ალიკოს მამა, ზაქარია ქურდიანი, იყო ავტორი ფუნიკულიორის მშენებელი შენობის; მე

ვთვლი, რომ კარგი შენობა არის, ერთ-ერთი საუკეთესო იმ წლებსთვის. ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობა - პავლიონის ტიპის, მაგრამ მონუმენტურ ფორმაში გადაზრდილი და მსუბუქი, ლამაზი, ქართული არქიტექტურის ელემენტებით - ჩვენთვის ყველასთვის უკვე თბილისის ნიშან-სიმბოლოა. თუმცა, მაინცდამაინც, მე მგონი, ბედი არ სწყალობდა ამ შენობას, განსაკუთრებით ბოლო წლებში... მოვიდა ჩემთან ბატონი შაქროს ვაჟიშვილი ალიკო ქურდიანი, მშვენიერი არქიტექტორი ისიც, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა, უმცროსია ჩემზე, ძალიან სერიოზული ყმაწვილი, და შემომთავაზა ის, რაზეც მიმიწევს გული მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე და მთელი ჩემი შემოქმედება ამისკენ იყო მიმართული, - რომ კედლები მეხატა".

ეს მცირე მოგონებაა ამ ოჯახის ისტორიიდან. ახლა მათი შთამომავლების მთელი ყურადღება ფუნიკულიორისკენა მიპყრობილი, რომლის რეკონსტრუქცია 2007 წლიდან დაიგეგმა და დღემდე გრძელდება. სამუშაოები ამერიკის სამთავროს საინვესტიციო სააგენტოს, ფრანგი, ინგლისელი და ქართველი არქიტექტორების მონაწილეობით ხორციელდება. რესტავრაცია-რეკონსტრუქციის კონსულტანტია შაქრი ქურდიანი. როგორც გვპირდებიან, შენარჩუნდება შენობის ფასადი, აღდგება პანო, ხოლო ინტერიერი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყობა.

ჩემი, როგორც ამ შენობის თანაავტორის სურვილით, არ შეიცვალოს ფასადი, გაკეთდეს დედა და მამას მემორიალური დაფა და ჩემმა ოჯახმაც მიიღოს მის განახლებაში მონაწილეობა; მე მჯერა, რომ ფუნიკულიორის მესამე რეკონსტრუქცია, უცხოური კომპანიების დახმარებით, ყველაზე ეფექტური და ლამაზი გამოვა", - გვითხრა ლამა ქურდიანმა.

პოლუსებს შორის საზოგადოება დიალოგს ითხოვს

სოფო კილასონია



“ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არ წარმოვადგენთ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას...” - ასე დაიწყო გუშინ, თბილისის ერთ-ერთ ლიტერატურულ კავშირში საკუთარი პოზიციისა და მოთხოვნების გაცხადება და არ შემცდარან, როცა ამ სიტყვების მიღმა ივარაუდეს, რომ ამჟამინდელი ქართული პოლიტიკის ორ რადიკალურ პოლუსს შორის მათ მსგავსად დგანან ადამიანები, რომლებიც რიცხობრივად ბევრად მეტნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც ამ პოლიტიკურ მხარეებს წარმოადგენენ და ამ ადამიანებსაც აქვთ პოზიცია და მოთხოვნები.

უპირველესად საკუთარი სათქმელი და ალბათ საზოგადოების ზემოთ აღნიშნული ძალიან დიდი ნაწილის პოზიციაზე რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილმა ადამიანმა წერილით ჩამოაყალიბა. ეს წერილი კი ზუსტად ასე გრძელდება: “ვაცნობიერებთ, რომ ქვეყანა იმყოფება ურთულეს სიტუაციაში, რადგან არსებობს პოლიტიკური პროცესების უვიდურესი ესკალაციის რეალური საშიშროება. მიგვაჩინია, რომ თითოეულ ჩვენთაგანს ეკისრება უშუალო პასუხისმგებლობა საქართველოს მომავლის წინაშე...” - ამ პასუხისმგებლობას არ გაურბიან და საკმაოდ კონკრეტულად მიმოიხილავენ ჩვენს ქვეყანაში არსებულ ვითარებას და გამოსავალზე თავივე მოუთითებენ: “...დიალოგი ერთადერთი გზაა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და მყარი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. დიალოგის, როგორც პოლიტიკური მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალების უარყოფა, ცალსახად ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესს...”

ითვალისწინებენ რა საკუთარ მოქალაქეობრივ უფლებებს უკვე წერილის დასასრულს წერენ: “მოვიხილოთ: საქართველოში მორიგი დაპირისპირებისა და ძალადობის თავიდან აცილების მიზნით შეწყდეს ყოველგვარი ძალადობა და ძალადობის მცდელობა; კრიზისული პოლიტიკური ვითარებიდან დროული და ეფექტური გამოსავლის მიზნით დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.” - რატი ამალაშვილი, ლაშა ბულაძე, დათო ტურაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ბასა ჯანიკაშვილი, ნინო ლეჟავა, ანა დლოძი, ანდრო ბარნოვი, ზაზა ბიბლაშვილი, შორენა შავერდაშვილი, ნინო დანელია, ნინო ზურიაშვილი, სალომე ჯაში, ეკა სირაძე.

წერილი ინსპირირებულია ამჟამინდელი ვითარებით და ეს წერილი დაინერა დიალოგის აუცილებლობის გააზრებისთვის, გათვალისწინებისთვის. მაგრამ ამ ტექსტის ავტორები ჩვენთან საუბარში ზედაპირზე არ ტოვებენ არც პრობლემებს, არც ამ პრობლემათა მიზეზებს და არც საკუთარ მოთხოვნებს. ანუ იმას, რაც წერილის ფორმამ ვერ დაიტია.

რატი ამალაშვილი: დღეს ჩვენ კრიზისის პოლიტიკური პროცესით მოგვარების სურვილი გამოვხატეთ. საზოგადოებაში არსებობს რადიკალური და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი, სისტემური ცვლილებების ლეგიტიმური მოთხოვნა, ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს პოლიტიკური გზით, დიალოგის გზით და მხარეები უნდა დასხდნენ პოლიტიკური მოლაპარაკებების მაგიდასთან. ამ კრიზისის დარეგულირებისთვის რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას როგორც ხელისუფლების მხრიდან, ისე ოპოზიციის ლიდერების მხრიდან. ბუნებრივია, შედეგზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი და გამარჯვებული უნდა იყოს ქართული საზოგადოება. რეალურად უნდა

განხორციელდეს შედეგზე ორიენტირებული ცვლილებები.

ჩვენ უნდა შევამსუბუქოთ ვიტარება და ვაჩვენოთ, რომ ადამიანების კონკრეტული ნაწილი მოითხოვს ასეთი ტიპის დიალოგს. საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური უფლება მოითხოვოს ცვლილებები. დიალოგი კი არ გვჭირდება ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ან ვიღაცის ხელისუფლებაში მოსასვლელად, არამედ კონკრეტული სისტემური ცვლილებების მისაღწევად.

დათო ტურაშვილი: არ მომწონს, რომ დიალოგი კომპრომისად ითვლება ახლა ჩვენთან. ნებისმიერ შემთხვევაში მოლაპარაკება და დიალოგი მიმართა სწორად და მირჩევნია დაპირისპირებას. სამწუხაროა, ხელისუფლების მხრიდან ვერც ერთხელ ვერ ვიგძინი, რომ მათ რეალურად სურთ დიალოგი. მათი სურვილი განცხადებების დონეზე რჩება. დიალოგს რა უნდა როცა ხელისუფლებამ ხარ, ეს ხომ ძალიან ადვილია. დემერტმა ქნას, რომ ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დიალოგის აუცილებლობას ხელისუფლებას მოუწვევს რეალურ დიალოგზე წასვლა. ჩამოგდებებს რომ გადავდგომა ვჯობია, ეს ფაქტია. მშვიდობიანი გამოსავალი რომ უკეთესია ძალისმიერს, ეს არის ფაქტი. როგორ დავიჯერო, რომ ხელისუფლებას მართლა უნდა დიალოგი, როცა ყოველ ღამე ვილატყებთ ცემენ? როგორც კი შევატყობ რომ ხელისუფლებას დიალოგი მართლა სურს, პირადად მე ნებისმიერ ოპოზიციონერს თამამად შევეკამათებ, ვინც არ წავა ამ დიალოგზე. ახლა ვერაფერს ვამბობ, თვითონ არ მჯერა ხელისუფლების სურვილის.

ლაშა ბულაძე: ამ წერილის ავტორთა შორის მე არ ვარ, თუმცა თავისთავად ცხადია, რომ მეც მოლაპარაკებების მომხრე ვარ. საერთოდ ვფიქრობ, რომ მოლაპარაკებების გზით უნდა წყდებოდეს საკითხები, მაგრამ უნდა იყოს მეტი კონკრეტულობა, თუ რის შესახებ შეგვიძლია ამ ეტაპზე ლაპარაკი; რა არის უახლოესი მიზნები და როგორ უნდა მოხდეს მოლაპარაკება. მე საერთოდ ვივლი, რომ არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები უნდა იღებდნენ მონაწილეობას ამ დიალოგში, არამედ საზოგადოების ის დიდი ნაწილი, რომელიც პირდაპირ არ არის ჩართული იმ მოვლენებში. დიალოგში უნდა ჩართოს რაც შეიძლება ფართო საზოგადოება, ადამიანებმა უნდა თქვან, როგორ უნდათ რომ იყოს საქართველოს მომავალი. ამისათვის ჩემი აზრით, საჭიროა სატელევიზიო ღია

ეთერი, ის ადამიანები უნდა გამოვიდნენ, რომლებიც არც ისე ხშირად ჩანან, ტელევიზიის ნებით მათ მეტი დრო უნდა ჰქონდეთ რათა თავიანთი არგუმენტები კარგად წარმოვადგინონ. ისევე ვიტყვი, მგონია, უფრო კონკრეტული მოთხოვნები და კონკრეტული თემები უნდა ჩამოყალიბდეს.

ნინო დანელია, მედია-ექსპერტი: დიალოგის აუცილებლობა გამოიწვია ერთადერთმა ფაქტორმა, როდესაც მხარეები ერთმანეთს არ ელაპარაკებიან ქვეყნისთვის და ქართული საზოგადოებისთვის სასიკეთო შედეგის მიღება იქნება აბსოლუტურად გამორიცხული, ამიტომ, ჩემი აზრით საჭიროა, რომ პოლიტიკურმა ელიტამ მოძებნოს ძალა, იმოვნოს ერთმანეთთან სალაპარაკო გზები და რასაკვირველია მაქსიმალურად სცადოს, რომ მიიღოს ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგი. შეცვლილი და გამართული საარჩევნო კოდექსი, თუნდაც ეს საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოსა და მმართველის შეცვლა, რათა ამ ტელევიზიას მართლა ჰქონდეს საზოგადოებრივი ტელევიზიის სახე და არა ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ. პრობლემები ძალიან ბევრი დაგროვდა და ამ პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზა არის ლაპარაკი, დიალოგი. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა.

- რატომ არის ასეთი მიუღწეველი დიალოგი, როცა თითქოს ყველას აქვს გათვინებული თვალი ზოგად და მისი როლი. რამ გამოიწვია საზოგადოების ასეთი გაუცხოება დიალოგის ცნებასთან, თუნდაც გაუცხოება პოლიტიკურ მხარეებს შორის?

ნინო დანელია: საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ამჯერად, ამ ეტაპზე ძალიან ოპოზიციურად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ, არ სურს დიალოგი, ძალიან მარტივი მიზეზის გამო, რამდენჯერმე იყო ხელისუფლებასთან დიალოგის მცდელობა, მაგრამ არცერთხელ შედეგი არ დასრულებულა. პირიქით, საზოგადოება ამ დიალოგების შემდეგ დარჩა იმედგაცრუებული. სწორედ ამიტომ ოპოზიციამ დაკარგა გარკვეული გავლენა საზოგადოებაზე. ვფიქრობ, რომ დიალოგი საზოგადოების თვალში გახდა ხაფანგის დაგების სინონიმი. ვფიქრობ, სწორედ ამან გამოიწვია ეს გაუცხოება. მოუხედავად ამისა, ჩვენი მიზანია ხელისუფლება ვაიძულოთ, რომ ეს დიალოგი არ გახდეს ოპოზიციური ლიდერების მორიგი შეტყუება მოსალაპარაკებენ მაგიდასთან, საიდანაც ჩვენ, საზოგადოება ვერ მივიღებთ შე-

დეგს. ეს დიალოგი უნდა იყოს ორიენტირებული შედეგზე და საზოგადოებაზე უნდა ნახოს კონკრეტული ნაბიჯები.

ანდრო ბარნოვი, პოლიტიკური ექსპერტი: ვფიქრობ, ის სიტუაცია რაც დღეს გვაქვს, მთლიანად ხელისუფლების ბრალია. ეს სიტუაცია გამოიწვია არის მხოლოდ სხვისი აზრის უგულებელყოფამ, არამედ დევნამაც კი. დავაკვირდეთ, როცა ერთი მხარე დიალოგის შეუძლებლობაზე საუბრობს, ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ ისინი არ ენდობიან ხელისუფლებას, ისინი რამდენჯერმე მოტყუებულნი დარჩნენ. ალბათ არის სხვა მიზეზებიც, ზოგიერთის ალბათ ტაქტიკურად ასე ურჩევნია ბრძოლა, რადიკალურ ტალღაზე ხომ იოლად გვარდება რეიტინგის პრობლემა. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ის რომ ამ ბოლო პერიოდში მთელი ოპოზიციური სპექტრის რადიკალიზირება მოხდა ეს სწორედ იმ პირობების ბრალია, რომლებიც აქამდე ხელისუფლებამ შესთავაზა მთლიანად საზოგადოებას. მაგრამ ამ ყველაფრის მოუხედავად, როდესაც დღეს ხელისუფლება იძახის რომ დიალოგი არის შესაძლებელი, იქნება აბსოლუტურად დაუშვებელი, მეტიც, კატასტროფული შეცდომა თუ ამ წინადადებას პასუხი არ გაეცემა და ეს პასუხი არ გაეცემა სწორედ დიალოგის დაწყების მზაობით. ამის გარეშე შეუძლებელია. დიალოგი უნდა შედგეს, თუნდაც იმიტომ რომ ხელისუფლების სურვილს დიალოგზე შესახებ ერთგვარი ტესტი ვაგუკეთოთ. ვაგივოთ, რამდენად გულწრფელია დღეს ხელისუფლება. თუ გვევმედა და ეს დიალოგი შედგა, ის აღარ უნდა იყოს ფუჭი პროცესი და ის უნდა შეეხოს ძალიან სერიოზულ თემებს.

ამას გარდა, ოპოზიციისთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ დიალოგი პრეზიდენტის გადადგომის შესახებ ულტიმატუმით - ეს დიალოგი არ არის. მაგრამ ხელისუფლებასაც უნდა ესმოდეს, რომ განსახილველი თემები იქნება ძალიან სერიოზული და ისინი უნდა იყვნენ ზმად რომ ეს თემები არა მარტო განიხილონ, არამედ გადაწყვიტონ კიდევ დიალოგის რეჟიმში.

ბასა ჯანიკაშვილი: დიალოგი-სადმი გაუცხოება გამოიწვია საზოგადოების უნდობლობამ ხელისუფლების მიმართ და მისმა ყალბმა დაპირებებმა, შარშანდელი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მას შემდეგ არც ერთი პრობლემა არ მოგვარდა და არც ერთი დაპირება არ შესრულდა. ამიტომ მოხდა ამ დიალოგის - სიტყვის, ცნების დევალაცია. რაც შეეხება

დღევანდელ განცხადებას. ახალი არაფერი გვითქვამს. ორივე მხარე საუბრობს იმაზე, რომ დიალოგი საჭიროა. ჩვენ მათ უბრალოდ მისი საჭიროება შევასხენეთ. დღევანდელი ჩვენი შეხვედრა კი იყო მაგალითი იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს შეუძლიათ მოლაპარაკება. ჩვენ მივეცით პოლიტიკურ მხარეებს მაგალითი. აქვე დავუმატებ, რომ პირადად მე ვითხოვ დიალოგს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს საკითხის შესახებ. არ მინდა გავიღვიძო და კიდევ ერთხელ დავინახო, რომ ქვეყნიდან პრეზიდენტი გაქცეულია და ქვეყანას მთავრობა აღარ ჰყავს. ეს ნამდვილად აღარ მინდა.

ლაშა ბულაძე: მგონი მოვექცით კონიუნქტურის ქვეშ, რომელიც აგერ უკვე აქტუალურია თითქმის 20 წელიწადი. ეს არის ემოციურობის, ზედაპირულობის და უცნაური სახის კეკლუცობის კონიუნქტურა. ამ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ ოპოზიციის ნაწილს უჭირს ერთი მხრივ ამ კონიუნქტურას თავი დააღწიოს, ვინაიდან ისინი რალაცნაირად ანგარიშვალდებულნი არიან ამომრჩევლებთან, მათ მხარდამჭერებთან, რომლებიც ძალიან რადიკალური არიან და მეორე მხრივ, ხელი-სუფლებისთვის დიალოგზე წასვლა ამ ეტაპზე არის მხოლოდ ფორმალური ხასიათის. ისინი უბრალოდ ჩადგნენ სასიამოვნო და სიმპატიურ პოზაში: თითქოს და ნაბიჯს დგამენ დიალოგისკენ, მაგრამ რეალურად არაფერსაც არ აკეთებენ. ამ შემთხვევაში ჩვენ მოვუნოდებთ როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს რომ რეალური დიალოგისკენ გადადგან ნაბიჯი. იმიტომ, რომ ეს ესკალაცია გაგრძელდება. ანუ ემოციური სფეროდან გადავინაცვლოთ რაციონალურ სფეროში სწორედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. დიალოგი არა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის და არა ხელისუფლებაში მოსასვლელად, არამედ საქართველოს მომავლისთვის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის.

სიტყვა “დიალოგი” მარგინალდება და ამ სიტყვის მარგინალიზაციას ეწვევა როგორც ერთი მხარე, ისე მეორე. ამიტომაც ჩვენ, - საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილს, არ გვეშინია, როგორც ერთს, ისე მეორეს მოვუნოდით, რომ სწორედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მათ შესძლონ ერთმანეთთან კომუნიკაცია. იმიტომ რომ არ მგონია, რაიმე განსაკუთრებული ეგზისტენციალური სხვაობა იყოს გუგული მალრატეს, როგორც პოლიტიკოსსა და პეტრე ცისკარიშვილს შორის. ეს არის ერთი ხალხი. ესენი არიან პოლიტიკოსები, როგორი პოლიტიკოსები არიან - ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ეს პოლიტიკური კრიზისი უნდა აღმოიფხვრას სწორედ პოლიტიკური დიალოგით. ფაქტია, რომ საქართველოში მომნიშვნელოვანი ცვლილებებისა, უნდა შეიცვალოს სისტემურად ბევრი რამ, ფაქტია რომ ავტოკრატული, ერთ-ღერძოვანი სისტემა ქმნის სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს და ეს პოლიტიკური კრიზისი შეიძლება გადაიზარდოს სერიოზულ სამოქალაქო ესკალაციაში, არ ვიტყვი სამოქალაქო დაპირისპირებაში, იმიტომ რომ არ მგონია მოქალაქეებს ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდეთ.

ჩვენ პირველი ნაბიჯი გადავდგით, ჩვენ ხმამაღლა ვთქვით რომ ჩვენ არ გვეშინია სხვადასხვა სახის კონიუნქტურების. ჩვენ მათ უუკვეთავთ დიალოგს, რეალურ დიალოგს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" 2008 წლის 17 აპრილიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს აგარა-ქარელის გადასარბენზე, მდ. მტკვარზე სარკინიგზო ხიდის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ

"საქართველოს რეკონსტრუქცია" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს აგარა-ქარელის გადასარბენზე, მდ. მტკვარზე სარკინიგზო ხიდის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495.

სატენდერო დოკუმენტაცია, შესაბამისი პროექტი და მოცულობათა უწყისი გაიგება 2009 წლის 17 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	სამუშაოს დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი
1	აგარა ქარელის გადასარბენის კმ 2404 პკ 7+97,85-ზე მდინარე მტკვარზე სარკინიგზო ხიდის მშენებლობა

3. სამუშაოს შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2010 წლის 31 დეკემბრამდე;

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალოუქულ კონკრეტულ ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 8 მაისის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: იურიდიული პირებისათვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე სატენდერო პაკეტების გახსნის დღიდან განსაკუთრებული პირობები:

1. ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი სამუშაოების შესახებ.

2. ყველა პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ სამუშაო ზომის (50-დან 100 მეტრამდე) სარკინიგზო ხიდის მშენებლობის გამოცდილება, რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები;

3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას შესასრულებელი სამუშაოების და შესაძლო ავანსირების (ავანსის შემთხვევაში) გეგმა-გრაფიკი; (სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს)

4. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება (გარდა ავანსისა) განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

5. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

6. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი, ბეჭდით დამოწმებული (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის) სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღეს-გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად.
3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71** მაკა ჟუჯუაშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60; თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჯანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

О.О.О. «Грузинская железная дорога» с 17 апреля 2009 года объявляет международный тендер на строительство железобетонного моста на перегоне Агара-Карели, р. Мтквари

О.О.О. «Грузинская железная дорога», г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет международный тендер на строительство железобетонного моста на перегоне Агара-Карели, р. Мтквари и приглашает принять участие всех заинтересованных юридических лиц.

1. Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере **500 (пятьсот)** лари на реквизитах: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757, Р/С – 10494921495.

Тендерная документация, соответствующий проект и перечень работ на грузинском языке выдается от 17 апреля 2009 года по 8 мая 2009 года на основании квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, **О.О.О. «Грузинская железная дорога»** Агентство закупок (3-этаж).

2. **Объекты закупки**

Лот №	Наименование работ и характеристика
1	Строительство железобетонного моста на перегоне Агара-Карели км 2404 пк7+97,85 над р. Мтквари

3. **Срок исполнения работ** - не позднее 31 декабря 2010 года.

4. Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузинском (допускается на русском и на английском языке) и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: с 9-00 до 18-00 часов 8 мая 2009 года;
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, **О.О.О. «Грузинская железная дорога»** Агентство закупок (3-этаж).

5. **Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**

Для юридических лиц:

- 1) Выписку из предпринимательского реестра.
- 2) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется дело о неплатежеспособности.
- 3) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере **5% от общей стоимости тендерного предложения**, срок действия которой должен быть не менее 60 календарных дней со дня открытия тендерных пакетов.

Особенные условия:

1. Информация об аналогичных услугах.
2. Каждый претендент должен иметь опыт строительства железобетонных мостов не менее среднего размера (от 50 до 100 м) и должен предъявить соответствующие документы.
3. Претендент должен предъявить график аванса (в случае аванса) и план - график работ подлежащих исполнению. (в день открытия тендерных пакетов).
4. Оплата (кроме аванса) выполненных работ будет осуществлено только после выполнения полного объема работ предусмотренных договором.
5. Прием выполненных работ будет осуществлен только после выполнения полного объема работ предусмотренных договором.

6. **Всем претендентам необходимо представить:**

1. Подписанное и заверенное печатью (юридическим лицом и инд.производителем) тендерное предложение, срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации), в которой необходимо указать стоимость лота, срок действия тендерного предложения, желательные для претендента условия оплаты.
2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной и в другой валюте (**без НДС**). В случае предъявления в другой валюте, оценка тенд. предложения будет произведена согласно курсу Национального банка Грузии в день открытия пакетов.
3. **В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта**, срок действия, который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.

Претендент не будет допущен к оценке, если в отношении претендента ведется дело о неплатежеспособности и представленные им тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок **О.О.О. «Грузинская железная дорога»**, тел: **56-33-71** Мака Жужуашвили. (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджария. 56-38-60. Т. Хокерашвили 56-39-30, И. Лобжанидзе 56-46-96.)

Тендерная комиссия

სპორტი

მზადება პლეი-ოფისთვის



ფაჩულიას სლემ დანკი

ატლანტა ჰოუსქმა NBA-ს რეგულარული სეზონი მემფისში გასვლითი მატჩით დაასრულა. იმის გამო, რომ ამ თამაშს ქორებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, ჯორჯიელთა მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობა დაასვეს. მაიკ ბიბი, ალ ჰარფორდი, ჯო ჯონსონი და მარვინ უილიამსი მოედანზე არ გამოჩნდნენ. იმ კალათბურთელებიდან, რომლებიც რეგულარული სეზონის განმავლობაში ჯორჯიულ გუნდში ამინდს ქმნიდნენ, მხოლოდ ჯომ სმიტმა, ზაზა ფაჩულიამ და ფლიპ მურეიმ ითამაშეს. ვუდსონს მაინც-

დამინც არც ფაჩულია და სმიტი დაუტვირთავს - ქართველმა ცენტრმა მხოლოდ 20 წუთი დაჰყო მოედანზე, სმიტმა კი 9 წუთი ითამაშა. მოკლედ, ქორებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მატჩს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, თუმცა, მოუხედავად ამისა, მაინც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. შეხვედრა მემფისმა მოიგო - 98:90. ზაზამ მისთვის განკუთვნილ 20 წუთში 4 ქულა შესძინა გუნდს და 9-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. ამ მატჩით ატლანტასთვის რეგულარული სეზონი დასრულდა. 82 მატჩიდან გუნდმა 47 მოიგო

და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე გავიდა, რაც პლეი-ოფის პირველ რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობას იძლევა. პლეი-ოფის პირველ მატჩს ატლანტელები 19 აპრილს გამართავენ. ფაჩულიას და მის თანაგუნდელებს დაუპირისპირდება დეივინ ვეიდის მაიამი ჰიტი, რომელმაც აღმოსავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილი დაიკავა და ატლანტას 4 მოგებით ჩამორჩა. მორიგი მატჩი გამართა ხორვატიის საკალათბურთო ჩემპიონატში ვლადიმერ ბოისას ზადარმა,

რომელმაც მე-7 ტურში შიბენიკის შიბენკას 122:73 სძლია და პირველობის ლიდერებს მიუახლოვდა. ქართველმა კალათბურთელმა ზადარელთა სასტარტო ხუთწუთში ითამაშა და 21 წუთში 5 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ვოვამ 5-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი გააყვანა და 4 პერსონალური ჯარიმა მიიღო. ზადარს 4 მოგება და 1 მარცხი აქვს და მე-3 ადგილზეა. 6 გამარჯვებით ცხრილს ლიდერობს ზაგრები.

21 წლამდელები დანიას გაეჭიბრებიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ჩვენი ქვეყნის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძეა, მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს დანიის ქალაქ ოლბორგში ამავე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. 9 ოქტომბერს ქართველი 21 წლამდელები 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ირლანდიაში ითამაშებენ, საიდანაც დანიას მიაშურებენ. დანიელები ახალგაზრდული ევროპირველობის დასკვნითი ეტაპის მასპინძლები არიან. ამ სპარინგის გარდა, ცხადაძის შევირდები კიდევ სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ - 6 ივნისს შინ, მოლდოვასთან, 10 ივნისს სტუმრად, ალბანეთთან, 12 აგვისტოს სტუმრად ლიტვასთან.

ქართველმა გოგონებმა აზერბაიჯანში ორი მატჩი დათმეს

საქართველოს 19 წლამდე გოგონათა საფეხბურთო ნაკრებმა ბაქოში, ტოფიკ ბახრამოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე, აზერბაიჯანელ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ორივეში დამარცხდა. ეს ინფორმაცია აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა. პირველი შეხვედრა ჩვენმა გოგონებმა მინიმალური ანგარიშით - 0:1 დათმეს, მეორეში კი აზერბაიჯანელთა უპირატესობა უფრო დიდი იყო და მატჩი ანგარიშით 0:2 დასრულდა.

კვირკველია და სალუქვაძე ნახევარფინალში გავიდნენ

რუსეთის ჩემპიონი ყაზანის რუბინი, რომლის შემადგენლობაში დავით კვირკველია და ლაშა სალუქვაძე თამაშობენ, ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ნოვოსიბირსკის სიბირს შეხვდა და 2:0 გაიმარჯვა. ქართველ ფეხბურთელთაგან კვირკველიამ შეუცვლელად ითამაშა, სალუქვაძე კი მე-40 წუთზე გამოჩნდა მინდორზე.

ვან გაალს "ზაიერნის" მწვრთნელობა სურს

ჰოლანდიური ალკმარის თავკაცმა ლუის ვან გაალმა ჟურნალისტებთან საუბარში მიუხეხნის ბაიერნის განვითარების სურვილი გამოთქვა. მე ალარ მაინტერესებს პატარა კლუბში მუშაობა, - თქვა მან, - ჩემს ადგილს ვხედავ ისეთ დიდ გუნდში, როგორც მიუნხენის ბაიერნია. ალკმარის პრეზიდენტსა და ქომაგებს სურთ, რომ კონტრაქტი, რომელსაც 2010 წელს გასდის ვადა, კიდევ გავახანგრძლივო და ალკმარის ალექს ფერგიუსონი გავხედ. მაგრამ მე დიდი გუნდის ან ეროვნული ნაკრების განვითარების ამბიცია მაქვს და 2010 წელს აქედან უთუოდ წავალ, - დასძინა 57 წლის სპეციალისტმა.

პლატინიმ უკრაინელები დააიმედა

უკრაინაში ვიზიტად მყოფმა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ უკრაინას, ამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძლის სტატუსი არ ჩამოერთმევა. შეუძლებელია, რომ უკრაინამ ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება დაკარგოს, - ხაზგასმით აღნიშნა პლატინიმ. პლატინიმ უკრაინაში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პროცესი შეისწავლა. ბოლო ხანს ხშირად საუბრობდნენ, რომ უკრაინაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო შესაძლოა ამ ქვეყანამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება დაკარგოს, თუმცა პლატინიმ საკუთარი თვალთი ნახა ყველაფერი და უკრაინელებიც დაამშვიდა.

მსოფლიო ჩემპიონობაზე მოცნება

ესპანელი მაკარა

იკერ კასილიასი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ბევრს ის მსოფლიოში უძლიერესად ცნობილია. რეალის 26 წლის მეკარემ კარიერის განმავლობაში მოიგო თითქმის ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით კასილიასმა ფანების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა და მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. - კარიერის განმავლობაში უამრავი ტიტული გაქვთ მოგებული. რომელია მათ შორის უმნიშვნელოვანესი? - რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონის ტიტული, რადგან ეს მთლიანად ესპანური ფეხბურთისთვის იყო მნიშვნელოვანი. სანაკრებო დონეზე ესპანელებს მუდამ რალაც გვიმღიდა ხელს და აი, როგორც იქნა, გავიმარჯვეთ. - რით ახსნით ესპანეთის ნაკრების ტრიუმფს ევრო 2008-ზე და შეძლებს თუ არა თქვენი გუნდი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას? - ეს გამარჯვება ჩვენი გუნდის

დამსახურებაა. მთელი გუნდი ერთი მიზნისთვის ვიბრძოდით. ნაკრებში უმაღლესი დონის ბევრი ფეხბურთელი გვყავს და როდესაც ერთ მუშტად შევიკარით, წარმატებაც მოვიდა. მოვიგებთ თუ არა სამხრეთ აფრიკაში გასამართ მუნდიალს? მინდა, რომ ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გავცეთ, თუმცა ახლა პროგნოზის გაკეთება ნაადრევია. ერთი რამ ცხადია: ჩვენი ნაკრები სწორ გზას ადგას. - გაიხსენეთ ევროპის ჩემპიონატი და იტალია-ესპანეთის მატჩი. რას ფიქრობდით პენალტების სერიის დაწყების წინ? - უამრავ რამეზე. როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პენალტების დაწყების წინ გაცილებით მშვიდად ვგრძნობდი თავს, ვიდრე თამაშისას. დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით. ამბობენ, პენალტების სერიას ის იგებს, ვისაც უმართლებსო. მანამდე ჩვენ იმდენჯერ არ გავიმართლა, რომ ახლა სწორედ ჩვენი რიგი იყო. - რა მიზნები გაქვთ, რისი მოგება გინდათ? - ცხადია, მთავარი მიზანი

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებაა. - ფეხბურთელებიდან ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა? - ზინედინ ზიდანმა. ზიზუ რომ ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, ეს ყველამ იცის. მე კი მას პატივს ვცემ, როგორ არაჩვეულებრივ ადამიანს. - საკუთარ თამაშში რისი გამოსწორება გსურთ? - სრულყოფილი ფეხბურთელები არ არსებობენ. ასე რომ, საკუთარი თამაში ყოველდღიურად უნდა დავხვეწო. - გაიხსენეთ თქვენს მიერ გაკეთებული საუკეთესო სეივი. - ევროპის ჩემპიონატი, იტალიასთან გამართული პენალტების სერია და ორი მოგერიებული პენალტი. - როდესაც თქვენს კარში გოლი გადის, რას ფიქრობთ: რა იდიოტი ვარ, თუ ვა, რა მაგარი ფორვარდია, რა კარგად გაიტანა. - ვფიქრობ, რომ მეტის გაკეთება შემიძლო.

ჩანყობილი მატჩებით ევროპარლამენტი დაინტერესდა

ჩანყობილი მატჩები რომ ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, ეს კარგად არის ცნობილი. ამ სენის წინააღმდეგ ფიფა-უეფაც იბრძვის და ახლა შესაძლოა საქმეში ევროპარლამენტი ჩაერიოს.

იორკშირელი ევროპარლამენტარი რიჩარდ კორბეტი 1972-1973 წლების სეზონის თასების თასის ფინალის შედეგის გადახედვას მოითხოვს. ამ მატჩში იტალიის მილანი ინგლისის ლიდსი 1:0 დაამარცხა (ლიდსი იორკშირული გუნდია).

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, მან უკვე შეაგროვა 15 000 ხელმოწერა. მილანი - ლიდსის ფინალის შემდეგ მატჩის მთავარი მსაჯი, ბერძენი კრისტოს მისასი ქრთამის აღებაში იყო ეჭვმიტანილი. ამის გამო, თავის დროზე, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოძიება ჩაატარა, ხოლო მოგვიანებით უეფამ მისასს საერთაშორისო მატჩების მომსახურება აუკრძალა. ლიდსის ხელმძღვანელობამ მაშინაც მოითხოვა გადათამაშება, მაგრამ უარი მიიღო.

რანიერი ტურინში აგრძელებს კარიერას

ტურინის იუვენტუსის მესვეურები არ აპირებენ კლაუდიო რანიერის გადაყენებას და ბებერ ქალბატონს მომავალ სეზონშიც ეს სპეციალისტი განვრთნის.

რანიერი ჩვენი მთავარი მწვრთნელია და, როგორც შედეგად არ უნდა აჩვენოს გუნდმა, ის მომავალ სეზონშიც თავის პოსტზე დარჩება, - განაცხადა ტურინელთა პრეზიდენტმა ჟან-კლოდ ბლანმა.

იტალიური საინფორმაციო საშუალებები და იუვეს ქომაგები ჩემპიონთა ლიგასა და სერია A-ში ტურინელთა წარუმატებელი ასპარეზობისთვის კლაუდიო რანიერის მკაცრად აკრიტიკებენ.

რუსებმა ლაუდრუპი დაითხოვეს

მოსკოვის სპარტაკმა დანიელი მწვრთნელი მიქაელ ლაუდრუპი არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დაითხოვა.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის თასის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ, რომელიც სახალხო კლუბმა მოსკოვის დინამოსთან 0:3 წააგო.

ლაუდრუპის გათავისუფლების მოთხოვნით გამოვიდა სპარტაკის გენერალური დირექტორი ვალერი კარპინი, რომლის აზრი გუნდის დირექტორატმა გაიზიარა.

მეტყველდერი "რეალს" დატოვებს

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის რეალის მცველი კრისტიანო მეტყველდერი სეზონის დასრულებისთანავე აპირებს "სამეფო კლუბის" დატოვებას. საქმე ის არის, რომ მეტყველდერს რეალში სათანამშრომლო პრაქტიკა თითქმის არა აქვს და თუ ასე გაგრძელდა, ის ალბათ ბუნდესნაკრებშიც დაკარგავს ადგილს.

"სერიოზული დაფიქრება მმართველს. მირჩევნია გაცილებით დაბალი დონის გუნდის წევრი ვიყო და რეგულარულად მიწვევას მოედანზე გასვლა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ყველაფერს ავწონ-დავწონ, მიღებულ შეთავაზებებს განვიხილავ და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებ. მანამდე კი მინდა მთელი ყურადღება დარჩენილ მატჩებზე გადავიტანო და მოედანზე მაქსიმალურად ბევრი დრო გავატარო," - განაცხადა გერმანელმა მცველმა.

ფაბრეგასი წასვლას არ გამორიცხავს

ლონდონის არსენალის კაპიტანი სესკ ფაბრეგასი ამბობს, რომ ჯერჯერობით არ იცის, დარჩება თუ არა კლუბში. იმასაც ამატებს, რომ მისი მომავალი კარიერა არსენ ვენგერის გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ არც ისე დიდი ხნის წინ ფაბრეგასმა თქვა: თუ ვენგერი არსენალს დატოვებს, გუნდიდან მეც წავალ. ორიოდე დღის წინ კი ფრანგ სპეციალისტს კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს. სწორედ ამის შემდეგ თქვა ფაბრეგასმა, რომ მისი გადაწყვეტილება ვენგერის დარჩენა-არდარჩენაზე არ არის დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, ჩემი მომავალი არსენალში გაგრძელდება, მაგრამ ეს ვენგერის კარიერასთან კავშირში არ არის. რა თქმა უნდა, მისაუბრია იმაზე, რომ მან ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მისი ძალიან მაღლივარი ვარ, მაგრამ სპორტში ინდივიდუალურ მიზნებს აღწევ. იმედი მაქვს, ფეხბურთს კიდევ 10-12 წლის განმავლობაში ვითამაშებ. თუმცა, არ ვიცი, სად აღმოვჩნდები, - ამბობს ფაბრეგასი.

რონალდუმ მანჩესტერი ნახევარფინალში გაიყვანა



რონალდუს ამ გოლმა "მანჩესტერს" ნახევარფინალის საგზური მოუტანა

გაირკვა იმ ოთხი გუნდის ვინაობა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. კვლავ ინგლისური დომინაციის მომსწრენი ვართ - ნახევარფინალებში სამი ინგლისური და ერთი ესპანური გუნდი გავიდა. ბარსელონას პრემიერლიგური დიდი ოთხეულის სამ მოწინააღმდეგე მოუწევს ჭიდილი.

ოთხშაბათს ყველაზე დიდ ინტერესს სტადიონ დრაგაოზე გამართული მატჩი იწვევდა. ფერგიუსონის 150-ე ჩემპიონთა ლიგური მატჩი მართლაც რომ ღირსშესანიშნავი აღმოჩნდა. ბრიტანელებმა პორტუს 21-წლიანი ფანტასტიკური სტატისტიკა დაარღვიეს - ოთხშაბათის მატჩამდე ბრიტანელებს პორტუგალიაში არ დაუმარცხებიათ). მანჩესტერმა კი სწორედ პორტუგალიელის ხარჯზე სძლია დრაკონებს. რონალდუს გოლმა-შედეგმა დრაგაოზე შეკრებილ ფანებს ცივი წყალი გადაასხა. თუმცა ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: გოლის შემდეგ მანკუნინელები ანგარიშის შენარჩუნებისთვის თამაშობდნენ და მასპინძლებს სულ ცოტა რომ გამართლებოდათ, ვინ იცის, შეძლებდა კი მანჩესტერი ნახევარფინალში გასვლას?!

სერ ალექს ფერგიუსონი: (მანჩესტერის მთავარი მწვრთნელი): ჩვენ მივალნივთ კარგ შედეგს მეტად მძიმე მატჩში. ვითამაშეთ უკეთ, ვიდრე პირველ შეხვედრაში და ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი რიგში, დაგვიბრუნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი. და, მეორეც, დასვენებისთვის

ორის ნაცვლად ოთხი დღე გვეკონდა. ასეთ ტურნირში კი ეს მეტად მნიშვნელოვანია. გიგზის გამოცდილებამ შეუფასებელი სარგებელი მოგვიტანა, რუნი საოცარი ენერჯით თამაშობდა. სასიამოვნოა ასეთი ფეხბურთელის ხილვა მინდორზე. კრიშტიანუ რონალდუმ არაჩვეულებრივი გოლი გაიტანა. იმ მომენტში თანაგუნდელებიდან მას არავინ ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, საოცარი რამ გააკეთა. ამაზე ლამაზ გოლს ვერც ვიხსენებ. არადა, მერნმუნეთი, კარიერის განმავლობაში არაერთი ლამაზი გოლი მინახავს. ასეთი გოლით თამაშის დაწყება ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვიგონებდით. გოლის შემდეგ მეტოქე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ჩვენს კართან პორტუს საგოლე მომენტი თითქმის არ შეუქმნია. აქ მოსაგებად ვიყავით ჩამოსული. ვფიქრობ, ნახევარფინალში გასვლა დავიმსახურეთ. ახლა არსენალს შეხვედრებით და, კარგი იქნება, თუ პირველ მატჩს 1:0 მოვიგებთ. ლონდონელები ბრწყინვალე ფეხბურთს აჩვენებენ და, მერნმუნეთი, ნახევარფინალურ მატჩს არაფერი ექნება საერთო ჩვეულებრივ პრემიერლიგურ მატჩთან.

ჟოზე გომეში (პორტუს მთავარი მწვრთნელის თანაშემწე): ყოველივე იმის შემდეგ, რაც მანჩესტერთან გამართულ ორ მატჩში ვაჩვენეთ, საოცარ იმედგაცრუებას ვგრძნობ. ვფიქრობ, რაც მოხდა, უსამართლობაა. ჩვენ მეტი გვსურდა და ნახევარფინალში გასვლასაც ვიმსახურებდით. თუმცა ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიოს საუკეთესო კლუბი

თამაშობდა. გოლის ავტორი კი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს. ალბათ ვერც იპოვით ისეთ გუნდს, რომელიც იგივეს გააკეთებს ოლდ ტრაფორდზე, რისი გაკეთებაც ჩვენ შევძელით. დღევანდელი მატჩის მეორე ტაიმში მანჩესტერს დრო გაჰყავდა. ასეთ რამეს ხშირად ვერ ნახავთ. სამწუხაროდ, ანგარიში ვერ გავათანაბრეთ.

არსენ ვენგერი (არსენალის მთავარი მწვრთნელი): მატჩამდე ვამბობდი, მოგებისთვის ვითამაშებთ-მეთქი და მინდორზეც შემტევი შემადგენლობა გავიყვანე. კარგად ვუტყვევდი გუნდს, რომელმაც იცის, როგორ დაიჭიროს ბურთი. იმდენად სწრაფი ფეხბურთი ვითამაშეთ, რომ მეც კი გამიკვირდა. მეტოქე ტექნიკურად დაეფაშნა. ჯერჯერობით საკუთარ ძალებში ბოლომდე ვართ დარწმუნებული და ამის მთავარი მიზეზი ჩემპიონატში მუდმივად პროგრესირებადი თამაშია. მანჩესტერისა და არსენალის მატჩები ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს. ორივე გუნდს უყვარს შემტევი ფეხბურთი. ინგლისურ კლუბთან დაპირისპირება ფსიქოლოგიურად ძნელი არ არის. უბრალოდ, ინგლისური გუნდები ძლიერები არიან და მათი დამარცხებაა ძნელი. რას იზამ თუ გინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მიიღწიო, სწორედ ბრიტანელები უნდა დაამარცხო. ცხადია, ჯერ კიდევ ყველაფერი შესაძლებელია. ყველაფერს ის 180 წუთი გადაწყვეტს, რომელიც მანჩესტერთან გველის. ადრე ვთქვი, რომ ჩემპიონთა ლიგაში

ჩვენ აუტსაიდერები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ, აზრი არ შემიცვლია. ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდიდან სწორედ არსენალსა მთავარი აუტსაიდერი.

მანუელ პელეგრინი (ვილიარეალის მთავარი მწვრთნელი): მატჩის მიწურულს არსენალმა უკეთ ითამაშა, ვიდრე ჩვენ. როდესაც ანგარიში 1:0 იყო, გვეკონდა თამაშის გადარჩენის შანსი, თუმცა მეორე გოლის გაშვების შემდეგ თითქმის ყველაფერი დასრულდა. რაც შეეხება თერთმეტმეტრიანს, მე შორს ვიყავი და ეს ეპიზოდი კარგად ვერ დავინახე. მაგრამ რა აზრი აქვს ამაზე საუბარს. როცა მსაჯი პენალტს ნიშნავს, ამას უნდა შეეგუო. არ ვიცი, რისთვის გააძევეს სებასტიან ეგურენი - მასთან ჯერ არ მისაუბრია. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. ჩვენ ხომ ნახევარფინალში გვინდოდა გასვლა. მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა: არსენალი ამკარად ჩვენზე უკეთესად გამოიყურებოდა. თამაშზე არც იმ გადაწყვეტას მოუხდენია დიდი გავლენა, ლონდონელები მანამდეც ჩვენზე უკეთ თამაშობდნენ. რაც შეეხება ნახევარფინალს, შესაძლოა ვინმეს მანჩესტერი ეჩვენება ფავორიტად, მაგრამ, მერნმუნეთი, არსენალს შეუძლია თავისი მუდმივი მეტოქის დამარცხება. ნახევარფინალურ ეტაპზე ყველაფერი შესაძლებელია და ფავორიტები არ არსებობენ. ერთი რამ ცხადია: არსენალისა და მანჩესტერის დაპირისპირება საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ჩაივლის.

ბანცხალაი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ-თავისმართველი ერთეული ხანხურის მუნიციპალიტეტი (მისამართი ქ. ხანხურე თავისუფლების ქ. №4) აცხადებს ტენდერს ხანხურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაოების შესასრულებლად 2 ღობად და იქვეის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ინდ. მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს

2. შესყიდვის ობიექტის ადგილმდებარეობა და ღობეების ნამონაყოფა:

ღობის №	შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ობიექტის ადგილმდებარეობა
1.	ქ. ხანხურის №1 ზღვის კაპიტალური რემონტი	ქ. ხანხურე
2.	საგანის ზღვის მშენებლობა	სოფელი ხაგინე

3. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 თვე

4. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად (შესაძლებელია ერთი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით) მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში 2009 წლის 13 მაისის 9 საათიდან 2009 წლის 13 მაისის 14 საათამდე მისამართზე ქ. ხანხურე, თავისუფლების ქ. № 4. (ხანხურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) მესამე სართული, სატენდერო კომისიის აპარატში

5. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირებისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ცნობა იმის შესახებ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ვაკოტრების ან ხანჯის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან).

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

გ) ცნობა იმის შესახებ რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეესტრაციის ადგილის მიხედვით)

დ) ცნობა იურიდიული პირის ქსენაზე ვადადის არარსებობის შესახებ

საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირებისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქვეყნარაინია.

ბ) ცნობა იმის შესახებ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ვაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან).

ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

შენიშვნა: 1) არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

6. იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შემოწმებას თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-4 და მე-7 პუნქტებში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოსწავლია ვადაში, 7. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსრულებელი ფორმის საბანკო გარანტია წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას

8. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უსრულებელი ფორმის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახითა და ოდენობით: საბანკო გარანტია ხანხურის თანხის 3-ის ოდენობით

9. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 12 მაისის 16 საათამდე, სატენდერო მისაკრებლის-200 დარის ვადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, მისამართზე ქ. ხანხურე, თავისუფლების ქ. № 4. (ხანხურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) მესამე სართული, სატენდერო კომისიის აპარატში.

11. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-5 და მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შემოწმების დროს შემდეგ დასუბსტებს არ ექვემდებარება

12. სატენდერო მისაკრებელი უნდა წარმოადგინოს ანგარიში: ხ.ს. საქართველოს „სახალხო ბანკის“ ხანხურის ფილიალი, გამგეობის სატენდერო და აქციონის მისაკრებლის მიზნობრივი დანიშნულების ანგარიში №33050037

13. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მისაკრებლის ვადახდის ვადას აქვთ სატენდერო კომისიის აპარატში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას

14. პაკეტები გაიხსნება 2008 წლის 13 მაისის 14 საათზე მისამართზე ქ. ხანხურე, თავისუფლების ქ. № 4. (ხანხურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა).

15. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი: ცისანა ნადირაძე-ტელეფონი 895-900-650

16 აპრილი, 2009წ.
მუდმივმოქმედი არპიტრაჟი
"დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომავალი ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია არმენ სარქისიანის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - 7 790.18 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სხდომის დასრულების მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 27 აპრილს 12:30 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

სხდომის სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე არმენ სარქისიანი, მცხ: ქ.ბათუმი, მერკვილას ქ.2, ბ.N40;

ბანცხალაი ტენდერში გამარჯვებულად ცნობის თაობაზე

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2009 წლის 7 მარტს ქ. ბათუმში ყოფილი ნარკოლოგიური ცენტრის, საზღვაო აკადემიის და მეზღვაურთა ყოფილი სასტუმროს შენობებში განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოებზე (სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/34-2009) გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება შ.პ.ს-მ "ანავი".

ცვლილება

შპს "თბილისის ავტობუსი"ს მიერ 2009 წლის 11 აპრილს გამოცხადებულ დიზელის სანავის საერთაშორისო მრავალწლიანი ტენდერის სატენდერო განცხადებაში: შესყიდვის ობიექტია: დიზელის სანავი **Gasoil 0.2 % 15 000 000** (თხეთმეტმილიონი) კგ.

ბანცხალაი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის სანარბის შესყიდვის გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **ლითონის ნაწარმის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 9 ლობად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2 და/ან ვებ. გვერდზე www.metro.ge.

2. დაინტერესების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. ტენდერის მესამე ლობით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში, ხოლო სხვა ლობებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას სასურველია, დაცული იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მიწოდების გრაფიკი.

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 27 აპრილის 12 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უსრულებელი ფორმის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 27 აპრილის 12 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უსრულებელი ფორმის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უსრულებელი ფორმის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება.
- ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
 - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.


შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 27 აპრილის 12 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამეა შესყიდვის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: თინათინ შუბითიძე, ინგა ხვედელიძე, გიორგი ჩიღვინაძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს "თბილისის მეტრო" www.metro.ge

სატენდერო კომისია
17 აპრილი, 2009 წელი

კრივიდან ნიუ-იორკის სენატრობამდა



ნიუ იორკის შტატის სენატის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა საკრივო და პოლიტიკურ სამყაროს ამცნეს, რომ მძიმე წონითი კატეგორიის ყოფილი მოკრივე ჯო მეზი შტატის სენატში დემოკრატთა უმრავლესობას ჩაუდგება სათავეში.

ამბობენ ახლა უკვე პოლიტიკოს მოკრივე ჯო მეზის ოფისი მშობლიურ ქალაქ ბუფალოში ექნებაო. იმასაც ამბობენ, პროფესიონალი მოკრივესთვის შეუფერებელი ხელფასი - წელიწადში 70 ათასი დოლარი დაუნიშნეს, მაგრამ ისიც საქმეა, რომ ხალხში გაერევაო. დემოკრატებისგან იმასაც ვიტყვობთ, რომ ყოფილი მოკრივეს დაქვემდებარებაში დაახ-

ლოებით ათი ადამიანი ეყოლება. ალბათ უჩვეულოდ ჟღერს ჯო მეზის პოლიტიკური გადაწყვეტანი, მაგრამ მსგავსი რამ პირველი შემთხვევა რომ არაა ესეც ფაქტია. ასე მაგალითად, შარშან ნოემბერში მეზი ნიუ იორკის შტატის სენატში იყრიდა კენჭს, მაგრამ მამინ პოლიტიკისკენ გზა გადაუღობა რესპუბლიკელმა მაიკლ რანზენჰოფერმა.

პროფესიულ რინგზე ჯო მეზის ჩაუტარებია 36 ბრძოლა და თითოეულში გამარჯვებას მიაღწია. მათ შორის 29-ჯერ ნოკაუტით. მისთვის მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი მონტე ბარეტთან და დავრილ უილიამსონთან შეხვედრები გამოდგა, ხოლო 2004 წელს ვასილი ჟიროვთან შეხვედრის შემდეგ მეზის ტვინში სისხლჩაქცევა აღმოუჩინეს.

ამას ის მოყვა, რომ ექიმების დაფინებულ თხოვნით მეზი რინგზე არ გამოჩენილა ორი წლის განმავლობაში. აი, 2006 წელს კრივს დაუბრუნებულმა შვიდი ორთაბრძოლა ჩაატარა ნაკლებად ცნობილ მოკრივეებთან და ამდენივეჯერ წარმატებით. ბოლოს კი ხელთათმანები 2007 წლის ოქტომბერში მოირგო.



1 მარტიდან

